ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№104 (1614)

23-24 ოქტომბერი, 1997 წელი

## რამდენი მანეთი დარჩა სტალინს სალაროში გარდაცვალების შემდეგ?

ხმამაღალი ფიქრი კორუფციასა და მექრთამეობაზე

მესამე გვერდი



## ჩვენ ვიყოფით შავ კატას ბნელ ოთახში, თუნდაც ის იქ არ იყოს

რუსთავის სამშობიაროს ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი საკმაოდ სენსაციური ჩანდა. სამი მომჩივანი ქალბატონი მთავარ ექიმს ბრალს სდებდა უკანონო დათხოვებში, სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანაში, ბავშვების გაყიდვაში, არარეგისტრირებულ აბორტებში. ერთი ქალბატონი იმასაც კი აცხადებდა... ამას ქვემოთ შეიტყობთ. ეს ყველაფერი ამასწინანდელ „ალიას" ერთ ნომერში იყო დაბეჭდილი.

მეხუთე გვერდი

## სუკ-ი „მხედრიონში" ნერგავს თავის აგენტს...

- ამბობს ყოფილი მხედრიონელი

მეორე გვერდი

## პარლამენტი არ დათმობს

მეშვიდე გვერდი

## თემურ შაშიაშვილი: „მირტყან თავში და მაკრიტიკონ, რამდენიც უნდათ"

მესამე გვერდი

### ბათუმის ექს-მერი გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე არ გამოცხადდა

საქართველოს პროკურატურაში გრძელდება გამოძიება ბათუმის ყოფილი მერის თამაზ ხარაზის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელშიც მან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზ.ჟვანიას და პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს რ.დოლიძეს აჭარის ხელისუფლებისადმი შეთქმულებაში დასდო ბრალი.

თავიანთ განცხადებებში ზ.ჟვანიამ და რ.დოლიძემ ამ ფაქტს „ბინძური პროვოკაცია" უწოდეს და პროკურატურისაგან ხარაზის ქმედების სამართლებრივი შეფასება მოითხოვეს.

თ.ხარაზი, რომელიც ჭეშმარიტების გასარკვევად გენერალურ პროკურატურაში მოიწვიეს, ჯანმრთელობის გაუარესების მოტივით, თბილისში არ ჩამოვიდა.

პროკურატურა მიმართავს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ხარაზის დასაკითხად და საქმისათვის არსებითი სხვა გარემოებების დასადგენად. (იფრინდა)

### სიფრთხილეს თავი არ სტკივა

როგორც გეა-ს კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, სოფელ ანაკლიაში, ტერიტორიაზე, სადაც ადრე რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო ნაწილი იყო დისლოცირებული, აღმოჩენილია რამდენიმე კასრი „დამჟანგავი" სითხე. რუსი სამხედროების თქმით, სითხე მოსახლეობისათვის საშიში არ არის, თუმცა ქართველი სამხედროები უახლოეს დღეებში შეამოწმებენ აღნიშნული ნივთიერების „ავკარგიანობას". (გეა)

ვისაც გსურთ წიგნების, დისერტაციების, რეფერატების, ჟურნალების, გაზეთების აწყობა და სასტამბოდ მომზადება, ნებისმიერ ენაზე, უმცირეს ვადებში და ყველაზე იაფად, მობრძანდით ჩვენს კომპიუტერულ ცენტრში.



ტელეფონი:
93-19-99
მისამართი:
პუშკინის ქ.№5
II სართ.
ოთახი №207.

# თემურ მასხულია:
# სუკ-ი „მხედრიონში" ნერგავს თავის აგენტს...

*– ცოტა არ იყოს ძნელია ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, სადაც ვახტანგ გოგუაძეს და განათლების მინისტრს (!) თამაზ კვაჭანტირაძეს ასეთ რამეს დასწამებენ. წარმომიდგენია მათი სულიერი მდგომარეობა, როდესაც თავისი „ნამოქმედარის" შესახებ შემთხვევით გაიგეს, ისიც გაზეთებიდან.*

– რა უნდა გაგვიკვირდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც ხელოვნურად გამოიძებნა 10 კაციანი (გ.ნანაძე, შ.რატიანი და ა.შ.) ტერორისტული ჯგუფი, რომლის წევრებსაც 10–15 წლიანი სასჯელი აქვთ მოსახდელი, სადაც სახელმწიფოს კანონიერი შეიარაღებული ფორმირება „ომეგა" „ორთქლდა", გაქრა თვალსაწიერიდან, სადაც კლავენ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მათ შორის გია ჭანტურიას და შინაგანი ჯარების სარდლის, გია თორაძის მოცილების მიზნით 1995 წლის 23ნოემბერს დედოფლისწყაროში დაგეგმეს შეიარაღებული შეტაკება,რომელიც ღვთის განგებით და პრეზიდენტის შემთხვევითი ჩარევით (გია თორაძემ მოასწრო მასთან დაკავშირება) თავიდან იქნა აცილებული. სადაც გეგმაზომიერად მიდის, თქვენი თქმისა არ იყოს, ბიზნესმენების მასიური „წველა" და, იმის მაგივრად, რომ ვინმემ ხმა ამოიღოს, ყველა დუმილს ამჯობინებს და კულისებში ჭორაობით იოხებს გულს. მოკლედ რომ ვთქვა, ერთი უბედური მეორის უბედურებით იკეთებს გულს – ისიც ხომ ჩემს დღეშიაო!

ასეთმა ვითარებამ საქართველოში საბოლოო ჯამში მოიტანა ფარისევლური მომთმენობის და ვითომდა ჰუმანურობის ეპოქა, რასაც შედეგად მოაქვს ყველა ის მანკიერება, რაც ჩვენს გარშემო არსებობს, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

*– თქვენ, როგორც ცნობილია, „მხედრიონის" ერთ-ერთი დამაარსებელი ხართ, ორგანიზაციის, რომელსაც ერთ დროს ხალხი იმედის თვალით შეჰყურებდა...*

– ეს ორგანიზაცია თავიდანვე ხალხის ინტერესების დასაცავად შეიქმნა, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე. ეს იყო, ფაქტიურად, ერის მხედრული სულის აღდგენის მცდელობა, რომლის იდეა ჯაბა იოსელიანს ეკუთვნის. ასეც იყო მანამ, სანამ „მხედრიონს" უშუალო ურთიერთობა ჰქონდა მოსახლეობასთან, იცავდა მის ინტერესებს მარნეულში, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში. შესაბამისად იგი ყალიბდებოდა, როგორც რეალური ძალა და იხვეჭდა ავტორიტეტს. ყოველივე ამას მოჰყვა განსაკუთრებული დაინტერესება სპეც-სამსახურების მხრიდან. მე, უცხო სპეც-სამსახურებს არ ვგულისხმობ, იმ „ეროვნულ" სპეც-სამსახურებზე მაქვს საუბარი, ათმაგი ენერგიით რომ იბრძოდნენ ეროვნული ცნობიერების ჩასაკლავად. თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ისეთ ვითარებაში, საქართველო რომ აღმოჩნდა 1989 წლიდან მოყოლებული, სხვა ქვეყნის ანალოგიურმა სამსახურებმა თავის ფუნქციად დაისახეს, პირველ რიგში, სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რასაც პარალელურად ერთვოდა ნაციონალური პოლიტიკის განსაზღვრა, რამაც მათ საფუძველი მისცა, საბოლოო ჯამში, ეროვნული სახელმწიფო ჩამოეყალიბებინათ. ამის კლასიკურ მაგალითებს დღეს წარმოადგენენ ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით მოხდა და ხდება. როგორც აღვნიშნე, მას შემდეგ, რაც „მხედრიონი" რეალურ ძალად იქცა და ავტორიტეტი მოიპოვა, დაიწყო მასში იმ მრავალჯერ ნასამართლევი პიროვნებების შეგზავნა, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებთან ხშირი „ურთიერთობების" შედეგად თავის დროზე წავიდნენ ზნეობრივ კომპრომისებზე და სანდომიან ურთიერთობაში აღმოჩნდნენ ამ უკანასკნელთან. მათი ასეთი გამიზნული მოქმედება საზოგადოების თვალში „მხედრიონის" კრიმინალურ ორგანიზაციად წარმოჩენას ისახავდა მიზნად, რასაც ხელს უწყობდა მათი შეგნებული და პროვოკაციული დანაშაულებრივი ქმედებანი. საბოლოო ჯამში კი ეს მიზნად ისახავდა საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლას საჭიროების შემთხვევაში. სათქმელთან მიახლოების მიზნით მე ცოტა შორიდან დავიწყებ. თავის დროზე სუკ-ი „მხედრიონში" ნერგავს თავის აგენტს თ.ხაჩიშვილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, თემურ ჯიშკარიანის მეშვეობით, რომელიც ამჟამად საბერძნეთში ცხოვრობს და რომელიც მაშინ უშუალო კავშირზე ჰყავდა რუსთავის მაშინდელ სუკ-ის განყოფილების და, ამჟამად, უშიშროების სამინისტროს ინსპექციის უფროსს, ბიჭიკო ლეჟავას. ხაჩიშვილი „მხედრიონის" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავისი დამსახურებებიდან (მისი მეშვეობით „მხედრიონი" ჩაერთო სამოქალაქო ომში ჯაბა იოსელიანისა და ჩემი პატიმრობის დროს) გამომდინარე ხდება მისი ერთ-ერთი ლიდერი. ამის შემდეგ იგი ჯაბა იოსელიანის მეშვეობით დაუკავშირდა გურამ მგელაძეს, რომელსაც იგი თავის მხრივ კავშირზე გაყავს რუსეთის ამჟამინდელ საგარეო დაზვერვის დირექტორის მოადგილე, შოთა კვირაიას მასწავლებელ, გენერალ ერინზე. იგი თავის მხრივ მას აკავშირებს თავის თანაკურსელთან, იმჟამინდელ ამიერკავკასიის ჯარების სარდალთან თეოდორ რეუტთან. ჯადოსნური წრე შეიკრა. გაიარა რა შოთა კვირაიას აღზევების ანალოგიური გზა, იგი შინაგან საქმეთა მინისტრად მოგვევლინა. მასზე მრჩეველ-განმკარგულებლის სტატუსით მიმაგრებულ იქნა რუსეთის საგარეო დაზვერვის ნდობით აღჭურვილი პირი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი პაატა კაჭარავა. დროთა განმავლობაში თ.ხაჩიშვილის გონებაშეზღუდულობის და განზოგადების უუნარობის გამო, რომელზეც ვერ გაჭრა თვით პროფესიონალი ჩეკისტის,პაატა კაჭარავას დაუღალავმა მეცადინეობამ, გამოიწვია ის, რომ შოთა კვირაიამ და თემურ ხაჩიშვილმა თავიანთი პატრონების რჩევა-დარიგებით უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში თანამდებობები გაცვალეს. ამავე პერიოდში, უშიშროების მინისტრად დაინიშნა რუსეთის მონათესავე სამსახურის ანუ თავის დროზე ავღანეთის ჯარების ოპერატიული სამმართველოს უფროსი, პროფესიონალი და ნიჭიერი ჩეკისტი, ბუნებით ავანტიურისტი იგორ გიორგაძე, რომელიც საბოლოო ჯამში „მხედრიონის" იდეოლოგი გახდა.

ამავე პერიოდში პოლიტიკურ არენაზე წამოიწია ედპ-ს თავმჯდომარის გია ჭანტურიას პიროვნებამ, რომლის მოქმედებები რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, იკვეთებოდა, რომ იგი უახლოეს მომავალში სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ყალიბდებოდა, რის აღსაკვეთადაც სასწრაფოდ იქნა მიღებული ზომები და თემურ ხაჩიშვილის მეშვეობით იგი ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო ეს ტერაქტი რომ თემურ ხაჩიშვილის და მისი გარემოცვის დონეზე დარჩენილიყო, ძიების კონტროლი თავის ხელში აიღო მაშინდელმა შსს-ს მინისტრმა შოთა კვირაიამ. ასეც მოხდა, ტერაქტი, საბოლოო ჯამში, ხაჩიშვილს აღარ გასცილებია. საქართველოში პოლიტიკურ სცენაზე, ფაქტიურად, რჩება შევარდნაძის ფაქტორი, რომლის დასაყრდენს ჯაბა იოსელიანი წარმოადგენს და დგება ამ ორი პიროვნების ურთიერთდაპირისპირების გარდუვალობა. საამისოდ „მხედრიონის" იდეოლოგი ი.გიორგაძე გ.გელაშვილს უკეთებს ფსიქოლოგიურ დამუშავებას და არწმუნებს იმაში, რომ ე.შევარდნაძის მეგობარს, სოლიკო ხაბეიშვილს გამიზნული აქვს მისი ლიკვიდაცია. გელაშვილი შესაბამისად მოქმედებს და ფიზიკურად ანადგურებს ედუარდ შევარდნაძის უახლოეს მეგობარს, რაც საბოლოო ჯამში იოსელიან-შევარდნაძის დაპირისპირებას იწვევს და შევარდნაძეს უარყოფითად განაწყობს თავისი „შეილობილის" – გ.გელაშვილის მიმართ. იწყება „მხედრიონის" ახალი ფსიქოლოგიური დამუშავება. კერძოდ, თ. ხაჩიშვილს და გ. გელაშვილს ი. გიორგაძის მხრიდან ფსიქოლოგიური დამუშავების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს გ. ჭანტურიასა და ს. ხაბეიშვილის მკვლელობა, რაც შემდგომში გამოიხატა: ი. გიორგაძე იმპულსურად ახსენებს გ. ჭანტურიასა და ს. ხაბეიშვილის მკვლელობებს, თან განუმარტავს, რომ შევარდნაძემ ამის შესახებ ყველაფერი იცის და აპირებს შესაბამისი ზომების მიღებას. ამ ვითარებაში თ.ხაჩიშვილი და გ. გელაშვილი ხსნას შევარდნაძის ფიზიკურ ლიკვიდაციაში ხედავენ. თ. ხაჩიშვილი იწყებს მოქმედებებს, უმატებს ვიზიტებს მოსკოვში, იღებს კონსულტაციებს თავისი პატრონებისგან იმავე ადგილიდან, საიდანაც შ. კვირაია იღებს ინსტრუქციებს ტერაქტის მოხდენის შემთხვევაში მოქმედების შესახებ. ამ პერიოდისათვის, ფაქტიურად, მომავალი მოქმედებისათვის გარემო შექმნილია, ამ გარემოში ადამიანები დამოუკიდებლად მოქმედებენ და ამის გამო ი. გიორგაძე თამაშიდან გადის.

ამავე პერიოდში ხდება გაუთვალისწინებელი ამბავი: ქრუსთავში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ქალაქის პროკურორი სიომა მაჭავარიანი 1995 წლის 25 აგვისტოს სცემს სანქციას გიგა გელაშვილის დაპატიმრების შესახებ, რომელსაც ამავე წლის 28 აგვისტოს იღებს შოთა კვირაია, კეცავს ოთხად, იდებს ჯიბეში და აუღელვებლად ელოდება 29 აგვისტოს. 29 აგვისტოს ღვთის მეოხებით და გელაშვილ-ხაჩიშვილის დილეტანტიზმის წყალობით ე. შევარდნაძე გადარჩა ფიზიკურ განადგურებას. ფიზიკურ განადგურებას გადარჩა ჯ.იოსელიანიც. შევარდნაძის ლიკვიდაციის შემთხვევაში შოთა კვირაიას მიღებული ინსტრუქციით ჯაბა იოსელიანსაც და სხვა „მხედრიონელებსაც" იგივე ბედი ელოდათ, რის შედეგადაც პოლიტიკურად რეალურად არსებული ძალა იქნებოდა ლიკვიდირებული, რაც საბოლოო ჯამში საქართველოში სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას შეცვლიდა და დაიწყებოდა რუსეთის მხრიდან საქართველოს სრულად მართვის პროცესი. რაც შეეხება უშუალოდ „მხედრიონს", მოვა დრო, როცა გამოქვეყნდება წიგნი, სადაც ამ ორგანიზაციისა და მისი ლიდერის ცოდვა-მადლიანი ქმედება სრულად იქნება ახსნილი. ჩემი აზრით, კი, დღეს, ამ ორგანიზაციის საქმიანობის პოლიტიკური თვალსაზრისით შეფასების მორალური უფლება არავის არა აქვს. რაც შეეხება მათი ზოგიერთი „ნამოღვაწარის" იურიდიულ შეფასებას, რომელსაც უახლოეს პერიოდში სასამართლო გააკეთებს კიდეც, აუცილებელ პირობად მიმაჩნია, რადგან ასეთი ვითარება შესაძლებელს გახდის, საბოლოო ჯამში, სრულად შეფასდეს ამ ორგანიზაციის როლი საქართველოსთვის ამ უმძიმეს ისტორიულ მონაკვეთში.

*– ბატონო თემურ, როგორც თქვენი ქმედებებიდან და პასუხებიდან ვხვდები, თქვენ თავზე ხელი გაქვთ აღებული. მაშინ იქნებ იმავე კონტექსტში ე. შევარდნაძეზეც გვითხრათ რამდენიმე სიტყვა?*

– უკვე მოგახსენეთ, რომ მე არსებული ხელისუფლების ზეწოლისაგან გამწარებული კაცი ვარ, თავზე ხელი კი ნამდვილად არ ამიღია. რაც შეეხება ე.შევარდნაძეს, იგი, უდავოდ ძალზე ნიჭიერი, დიდი განზოგადოების უნარის მქონე პიროვნებაა, რაც მას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს მოპოვებული. ამ განზოგადოების უნარის, ბუნებრივი ნიჭიერების და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის მეოხებით, სადაც იგი, ფაქტიურად, საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ დაზვერვას ხელმძღვანელობდა და, შესაბამისად, სრულად ფლობდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციას, აღარაფერს ვამბობ საბჭოთა კავშირში არსებული შიდა პრობლემებში გათვითცნობიერების შესახებ. საქართველოში დაბრუნებულმა, იცოდა რა, რომ პატარა ერის წარმომადგენელი იყო და კარგად ესმოდა, რომ თუ ჩვენი ქვეყანა არ იკისრებდა კაცობრიობის თუნდაც ერთი ნაწილის მიმართ რაიმე ფუნქციას, სხვაგვარად ის სახელმწიფოს ვერ შექმნიდა, კარგად გამოიყენა მის ხელთ არსებული ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ და თავისი კავშირების მეოხებით საქართველოს აკისრებინა ასეთი ფუნქცია კაცობრიობის ერთი ნაწილის მიმართ, რაც ჯერ მის პირად საიდუმლოს წარმოადგენს. ამან მას საშუალება მისცა ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოეყალიბებინა, მაგრამ ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, მითუმეტეს, თუ ის ცდილობს ჩამოაყალიბოს საკუთარი სახელმწიფო და გარდა ამისა, აღასრულოს მის მიერ ნაკისრი ფუნქცია, აუცილებლად სჭირდება საამისოდ სერიოზული, ძლიერი, ეროვნულად განწყობილი კომანდა, რომელიც მას არ ჰყავს და, როგორც მე ვხედავ, არც ეყოლება უახლოეს მომავალში. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, მისი მმართველობის პერიოდში რაიმე განსაკუთრებულს, ქვეყნის შიდა საკითხების მოწესრიგების თვალსაზრისით, არ ველოდები. მხოლოდ იმის იმედად ვარ, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე მოხდება რაიმე სერიოზული ცვლილებები ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

*– ბატონო თემურ, რას აპირებთ მომავალში?*

– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა. მისი მაცხოვრებლების ერთი ნაწილი ძველ ცხოვრებას მისტირის და მისი აღდგენის მოსურნეა, მეორე ნაწილი ახალი ცხოვრების ძებნაშია. პირადად მე არც ერთ კატეგორიას არ მივეკუთნები. მე ჩემს ოცნებაში არსებულის ძებნაში ვარ და თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო ორივე მიმართულების პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეებს, უცხო ქვეყნის რეზიდენტებს და „კაციჭამია ბიზნესმენებს": ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ და მე თავი დამანებეთ, მე და თქვენ საერთო მხოლოდ ერთი გვაქვს – ბიზნესი!

ესაუბრა
**ქეთევან ჯაყელი**

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო" №101-102.

## „მირტყან თავში და მაკრიტიკონ, რამდენიც უნდათ"



„კვირას მთავრობის სხდომაზე გამომსვლელთათვის რომ ყური დაგვეგდოთ, ვიფიქრებდით, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის" - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში, თემურ შაშიაშვილმა, რომელსაც მიაჩნია, რომ იმერეთში, ამავე დროს, სერიოზული პრობლემებია.

მან ვერც გაოცება დამალა იმის გამო, რომ მთავრობის სხდომაზე, სადაც პრეზიდენტმა საათნახევრიანი სიტყვა წარმოთქვა, მთავარი ფიგურა იმერეთის გუბერნატორი აღმოჩნდა. თუმცა, საკუთარ პოპულარობაზე მეტად, ამჯერად, პურის აღურიცხაობა აწუხებს. „ციფრებს თუ ვენდობით, გამოდის, რომ დღეს ერთ სულ მოსახლეზე 98 გრ. პური მოდის. რესპუბლიკაში 400 ტ. პური იყიდება აღურიცხავად, აქედან 25 ტ ქუთაისზე მოდის. მირტყან თავში და მაკრიტიკონ, რამდენიც უნდათ, ეს ციფრები სად წავა?" - კითხულობს შაშიაშვილი. (ბეა)

## უმცირესობა მხოლოდ ჩხუბით კმაყოფილდება

20 ოქტომბერს, ქუთაისში სტუმრობისას, ლეიბორისტთა ლიდერს, შალვა ნათელაშვილს სერიოზულ მიღწევებზე საუბარი გაუჭირდა, რადგან, მისივე სიტყვებით, უმცირესობა მხოლოდ მიკროფონთან ჩხუბითა და პრესკონფერენციებით კმაყოფილდება. თუმცა, მისი აზრით, სერიოზულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 10 ათასი პედაგოგის შემცირება იმ მოტივით რომ ქართულ ხელფასებზე ამერიკული ტესტირების ჩატარება არ შეიძლება.

„რეფორმა კომპლექსურად უნდა მიმდინარეობდეს ყველა სფეროში, ძირითადად ეკონომიკაში" - თქვა ნათელაშვილმა. მას მიაჩნია, რომ ეროვნულ ეკონომიკას არა აქვს სერიოზული მხარდაჭერა. პირიქით, ხელს უშლიან არასწორი საგადასახადო პოლიტიკით და საბაჟო სისტემით. დღეს მარტო ჰაერი არ იბეგრება საქართველოში, რაც ნათელაშვილის აზრით, ევროპული საგადასახადო კანონების გადმოშტამპვითაა გამოწვეული. (ბეა)

## ლომაიამ შეიძლება „ქართველ კრიმინალებს" მიმართოს

გალის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ვალერი ლომაიას განცხადებით, იგი იძულებულია ტყვედ აყვანილი აფხაზეთის მოქალაქეების ბაგათელიასა და ფაჩულიას განთავისუფლების თაობაზე „ქართველ კრიმინალებს" მიმართოს.

მისი თქმით, ამ „იძულებითი ნაბიჯის" მიზეზი გახდა ქართველ სამართალდამცავთა განცხადება, რომ ბაგათელია და ფაჩულია „თეთრ ლეგიონს" ჰყავს დატყვევებული, რომელიც არ ემორჩილება ოფიციალურ თბილისს. (ბეა)

# რამდენი მანეთი დარჩა სტალინს სალაროში გარდაცვალების შემდეგ?

## ხმამაღალი ფიქრი კორუფციასა და მექრთამეობაზე

### წერილი პირველი

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 იანვრის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა - ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა... კორუფციის წინააღმდეგ „ბრძოლა იქნება რთული, უაღრესად მძიმე და ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ ნურავინ იმედოვნებს, რომ იაფი პოპულიზმის ცდუნებამ შეიძლება ხელი აგვაღებინოს ქვეყნის მომავლისათვის ამ უთუოდ საჭირო ამოცანების განხორციელებაზე" („სახალხო გაზეთი", 1997, 4-10 თებერვალი).

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის იყო იმპერატორთა, სახელმწიფოს მეთაურთა და პოლიტიკურ ხელისუფალთა ყურადღების ცენტრში. ასე იყო ძველ საბერძნეთში, რომში, რუსეთში, საფრანგეთში, საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. პეტრე დიდი მკაცრად ებრძოდა ხელისუფლებაში მოკალათებულ სახელმწიფო დოვლათის დამტაცებლებს, იმისდა მიუხედავად, რა მაღალი თანამდებობებიც არ უნდა სჭეროდათ მათ. იგი ფიზიკურად გაუსწორდა თავის უახლოეს ქვეშევრდომებს: - „ჩრდილოეთის ომის" მსხვილი შენაერთების სარდალს, გენერალ-სიმუსს, გრაფ ალექსანდრე მენშიკოვს და ვიცე-კანცლერს, გამოჩენილ დიპლომატსა და ფინანსისტს ბარონ პეტრე შაფიროვს - იმის გამო, რომ მათ ქრთამი აიღეს და სამხედრო უწყებას შეაჩეჩეს დამპალი მაუდი ჯარების ტანსაცმლის ფორმისათვის. მექრთამე მენშიკოვმა ეს არ იკმარა. როცა მორიგ კომბინაციას - საკვები ხორბლის ნაცვლად საფურაჟე მარცვლეულის შემოტანის დამთავრებას მენშიკოვი ამაყარიჩებდა, პეტრე დიდი თავზე წამოადგა. პეტრემ ჯიბიდან დაობებული პური ამოიღო და პირდაპირ პირში შეტენა მენშიკოვს. „შეჭამე, უბრძანა მან, - პურის მაგიერ ხალხს ტალახს რომ აჭმევთ." პეტრე დიდის 1714 წლის „მექრთამეობის შესახებ" ბრძანებულების შესაბამისად შექმნილმა საგამომძიებლო კომისიამ სასწრაფოდ გამოავლინა მექრთამეთა ერთი ჯგუფი: ჩვენთვის უკვე ცნობილი თავადი მენშიკოვი, გრაფი აპრაქსინი, გენერალ-ფელდცეისმეისტერი ბიუსი, საადმირალოს პრეზიდენტი კიკინი და ვიცე-გუბერნატორი კორსაკოვი. პეტრე I-მა აქედან ზოგი გაროზგა, ზოგი ციმბირში გადაასახლა, ზოგი სიკვდილით დასაჯა. მენშიკოვი ციმბირში გადაასახლა და მას ჩამოერთვა: 90 ათასი ყმა, 5 ქალაქი, მამულები: რუსეთში, პოლონეთში, პრუსიასა და ავსტრიაში; რუსეთის, ინგლისისა და ჰოლანდიის ბანკებში შენახული მილიონი ოქროს მანეთი.

ვიცე-კანცლერი პეტრე შაფიროვი დაანაშაულეს და გაასამართლეს - ჩამოართვეს მამულები, ჩინები, სიკვდილის დასჯაც გამოუტანეს. მას ბრალად ედებოდა თავისი ძმის დაწინაურება და მისთვის სახელმწიფოს ბრძანების გარეშე მაღალი ხელფასის დანიშვნა.

პეტრე I-მა კორუფციაში მხილებული ციმბირის გუბერნატორი, თავადი გაგარინი ჩამოახრჩო, პეტერბურგის ვიცე-გუბერნატორი კორსაკოვი აწამა, ხოლო ერთი მაღალი ჩინის სასამართლო მოხელე დახვრიტა.

ყოფილ სსრ კავშირში ომის შემდგომ პერიოდში მკაცრი ზომები განხორციელდა მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი პლენუმის შემდეგ, რომელზეც კორუფციის ბრძოლის წინააღმდეგ პრობლემებზე იყო ყურადღება გამახვილებული, დახვრიტეს პარტიის რიაზანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რომელმაც ქრთამის სახით საჩუქრად მიიღო სანადირო თოფი.

1929 წელს სტალინი დედას წერდა: „დედაჩემო, გიგზავნი 150 მანეთს, მეტი ვერ შევძელი, თუკი საჭირო იქნება ფული - შემატყობინე, რამდენსაც შევძლებ გამოგიგზავნი". იმავე წელს დასასვენებლად მყოფ მეუღლეს ნადიჟდა ალილუევა სწერდა: „თუკი შეგიძლია, გამომიგზავნე 50 მან. პრომაკადემიაში ფულს მომცემენ მხოლოდ 15 სექტემბერს. ამჟამად უკაპიკოდ ვზივარ". ერთხელ მის საპატივსაცემოდ მოწყობილ სადილზე ი.სტალინმა სამადლობელო სასმისი აიღო და ირონიულად განაცხადა: „მე ვსვამ ხალხების შეუდარებელი ბელადის, გენერალური ამხანაგ სტალინის სადღეგრძელოს, აი, მეგობრებო, ეს იყოს უკანასკნელი სადღეგრძელო, წარმოთქმული ჩემს შესახებ".



იოსებ სტალინს გარდაცვალების შემდეგ არ დარჩენია არავითარი პირადი საკუთრება. მის ანგარიშზე შემნახველ სალაროში აღმოჩნდა მხოლოდ 900 მანეთი. შემდეგ გამოჩნდა კიდევ 30 ათასი მანეთი. მსოფლიოში ასევე უდიდესი პიროვნების - ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ დანაზოგის სახით აღმოჩნდა 550 მილიონი ფრანკი, რაც უდიდესი თანხა იყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა რუს მოხელეთა თავგასულობა, მექრთამეობა, მონასტრების ძარცვა, ბაგრატიონთა მამულების დატაცება-გაყიდვა.

უზნეობის, სიხარბის, მექრთამის ტიპიური განსახიერება იყო საქართველოს პირველი სამოქალაქო მმართველი კოვალენსკი. მან განუსაზღვრელი უფლებები ჩაიგდო ხელში და მისი მთავარი საზრუნავი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავმოყვარეობისა და ანგარების დაკმაყოფილება იყო. ადრე იგი ქართველი მეფის კარზე რუსეთის ელჩი იყო. „ცივილიზებული" რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის - კოვალენსკის შეხვედრას სამეფო სახლში გიორგი მეთორმეტესთან, აი, ასე აგვიწერენ: „ყველა მოუთმენლად ელოდა რუსეთის იმპერატორის განსაკუთრებულ ელჩს. კოვალენსკი პირდაპირ სამეფო დარბაზში შემოვიდა ქურქწამოსხმული, ფეხზე თბილი წაღები ეცვა და თავზე საგზაო ქუდი ეხურა. კოვალენსკიმ წინადვე შეუთვალა მეფეს, რომ მისთვის განსაკუთრებული სავარძელი მოემზადებინა და შესვლისთანავე პირდაპირ მომზადებულ სავარძელში ჩაჯდა: სავარძელი ისე ახლოს მოაწევინა მეფის საჯდომთან, რომ კოვალენსკის ფეხები მეფე გიორგისას ეხებოდა. მეფე გიორგის დიდად ეწყინა ასეთი უზრდელობა ელჩისა... კოვალენსკი იმავე უცნაური ტანსაცმლით შევიდა დედოფალ მარიამთან და, შესვლისთანავე საათს დახედა და რადგან თორმეტი იყო, გამოაცხადა რომ ახლა საადმირალო საათია და დროა არაყი გადავკრათო. დედოფალმა მაშინვე უბრძანა, მიართვით არაყიო და კოვალენსკიც არ მოერიდა დედოფალს და ამ აუდიენციის დროს არაყი დალია. კოვალენსკის უწესო საქციელი მარტო ამ ამბებით არ დასრულებულა. ერთხელ მეფე გიორგიმ სადარბაზო სადილი გამართა და კოვალენსკიც მიიპატიჟა. კოვალენსკიმ უარი შეუთვალა მეფეს: ავად ვარ და სადილად ვერ გეახლებიო. თავის მაგიერ მეფეს აწვია თავისი მოსამსახურენი, თვითონ კი მალვით შეიპარა ქალების განყოფილებაში და უცქეროდა სადილად მსხდომ ქალებს" (იხ. **„Акак, Т.II, с.5-6)**.

კოვალენსკიმ თავისი ნათესავებით და თანამზრახველებით დააკომპლექტა თითქმის მთელი სამოქალაქო მმართველობა, შექმნა მათგან მძარცველური მოხელეების მჭიდრო ქსელი და მათი საშუალებით ახორციელებდა თავის მიზნებს - უწყალოდ ძარცვავდა ქართველ ხალხს. კოვალენსკი ხაზინაში დაგროვილი ვერცხლის ფულით ვაჭარ ბეგთაბეგოვს უხურდავებდა ჩერვონეცს 13 აბაზის ანგარიშით, ხოლო სამხედრო ნაწილებს თბილისში ჩერვონეცს აძლევდა 14 აბაზის კვალობაზე. ვითომც მაუდის ფაბრიკა უნდა აეგო კოვალენსკის თბილისში და მოკლე ხანში მან 15 ათასი ფუთი მატყლი შეისყიდა მეტად იაფ ფასებში და აღა მაჰმად-ხანის მიერ განადგურებულ მეფის სასახლის ნანგრევებს დაეუფლა. მან მატყლი მალე რუსეთში გაგზავნა და სასახლის ნანგრევებიც გაყიდა. გადმოგვცემენ, რომ რუსეთში მე-19 საუკუნის ბოლოს კოვალენსკის მემკვიდრეებს პოლტავის გუბერნიებში თაიანთი სახლი სავსე ჰქონდათ საქართველოდან დატაცებული ხელოვნების იშვიათი ნიმუშებით, ძვირფასი თვალმარგალიტით და ოქრო-ვერცხლის ნივთებით.

საბჭოური ტოტალიტარიზმის დროს კი პრიმიტიული პოლიტიკოსის, გონებრივი დიაპაზონით შეზღუდული და ბრიყვი სახელმწიფო მოღვაწის, ნიკიტუშკა ხრუშჩოვის შემდეგ მმართველ პარტიაში თანდათან ფეხი მოიკიდა კორუფციამ, მექრთამეობამ, პროტექციამ, ძმაბიჭობამ, ნათლიმამობამ და გამოძალვამ. პარტიის ზედა, საშუალო და ქვედა ნომენკლატურული კადრების დიდი ნაწილი ქურდბაცაცა იყო. რაიკომის მდივნის ქრთამისა და პროტექციის გარეშე წარმოება-დაწესებულებებში თვით დამლაგებლისა და მძღოლის სამუშაოზე აყვანა შეუძლებელი იყო. პარტიული კომიტეტები არათუ თანამდებობებს, საცხოვრებელ ბინებს, ავტომანქანებს, ავეჯს, არამედ პარტიაში შესვლის ანკეტებსაც ყიდდნენ. აღმასკომებში ქრთამის გარეშე რაიმე საკითხებზე წესიერ პასუხსაც კი არ გაგცემდნენ.

კორუფციამ მოიცვა თვით მმართველი პოლიტიკური პარტიის გენერალური შტაბიც კი. პარტიის გენერალური მდივნები - ბრეჟნევი, გორბაჩოვი... აგრეთვე პოლიტბიუროს წევრთა დიდი ნაწილი, მათი ოჯახის წევრები და ახლობელი ნათესავები გამომძალველები და მექრთამეები იყვნენ. გადაჭარბებული არ იქნება მივუთითოთ, რომ მმართველ პოლიტიკურ პარტიაში მასობრივი და ფართო მასშტაბური კორუფცია გახდა სწორედ ამ 20 მილიონიანი პარტიის აღსასრულის ერთ-ერთი მიზეზი.

აქედან გასაგებია, რომ ყოველივე ამან, რუსეთის იმპერიაში საქართველოს 200-წლიანმა ყოფნამ, გადააგვარა ქართველი კაცის ტრადიციები, დიამეტრალურად შეუცვალა ეროვნული ცნობიერება, ფსიქიკა და მის პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი კორუფციამ, მექრთამეობამ, ქურდობამ და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა.

**შოთა თეთვაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გაგრძელება იქნება

## რატომ ინგრევა სახლები?

„თბილისის ეკონომიკურ ფორუმზე" სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის, ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით, თითქოს დაზიანებული მილსადენების გაჟონვამ გამოიწვია გრუნტის წყლების დონის გაზრდა და ამან შენობების ნგრევის საფრთხე წარმოშვა, „თბილწყალკანალის" გენერალურმა დირექტორმა, იუზა ცარციძემ გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ დღეს ვერავინ დააზუსტებს გრუნტის წყლების აწევის დონეს, ხოლო რაც შეეხება გაჟონვების გამო შენობების საძირკვლის შერყევას, მარტო ამის გამო არ შეიძლება მრავალსართულიანი შენობები აღმოჩნდნენ ავარიულ მდგომარეობაში, რადგან გაჟონვების პროცენტულობა თბილისში არაა ისეთი მაღალი, რომ საძირკველი დაუზიანოს ნაგებობებს.



„ეს უფრო კომპლექსური მიზეზებითაა გამოწვეული და არ შეიძლება ბრალდება წყალკანალზე გადავიტანოთ, ამ შემთხვევაში სახლების მდგრადობას ბევრი სხვა ობიექტური მიზეზიც აქვს" - აცხადებს იუზა ცარციძე. (ბეა)

## თბილისის წყალი აკმაყოფილებს სტანდარტებს

„თბილისის მოსახლეობას წყლით მოწამვლის საშიშროება არ ემუქრება. მე მინდა ეს გაიგოს დედაქალაქის ყველა მოქალაქემ. ბოლო დროს გავრცელებული ხმები, თითქოს ჟინვალ-თბილისის კოლექტორის დაზიანების გამო საკანალიზაციო წყლები ჩაედინება არაგვის აუზში, სიმართლეს არ შეეფერება" - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას „თბილწყალკანალის" გენერალურმა დირექტორმა, იუზა ცარციძემ. მისი თქმით, დედაქალაქის წყლით მომარაგება მთლიანად მდინარე არაგვის წყალზეა დამოკიდებული, „არაგვის აუზი კი, რომელიც სანიტარულ ზონად ითვლება, უზრუნველყოფილია შესაბამისი სანიტარული და ეკოლოგიური პირობებით, ამასთანავე არაგვის აუზი თბილისამდე მოწმდება 450 დამახასიათებელ ადგილზე, სადაც ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლების შემოწმებით კონტროლდება წყლის ხარისხი. სპეციალური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები ახორციელებენ წყლის ბაქტერიოლოგიურ გაუვნებლობას" - აცხადებს „თბილწყალკანალის" გენერალური დირექტორი და ბოლო პერიოდში წყლის ხარისხიანობის შესახებ ატეხილ ხმაურს უკავშირებს იმ ქარხნების პროდუქციის რეალიზაციის კრიზისს, რომლებიც ბუნებრივ წყალს ბოთლებით ყიდიან. იუზა ცარციძე ურჩევს თბილისელებს, არ აყვნენ პანიკას და გააგრძელონ ბუნებრივი წყლის ონკანებიდან მოხმარება, რომლის ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები სავსებით შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს. (ბეა)

# დაწერილია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება, თქვენ კი ავაზაკების გამოქვაბულად აქციეთ იგი

ამჯერად მოქმედების ადგილის დასახელებისაგან თავს შევიკავებთ, იმ მოსაზრებით, რომ ასეთი ფაქტები ტიპურია. პასუხს კი კონკრეტულ ადამიანებს მოვკითხავენ, როგორც ვითომდა საერთო წესის დამრღვევთ.

სწორედ იმ დღეებში, როდესაც სრულიად საქართველოს პატრიარქი თავისი ყრმობის ადგილებს ათვალიერებდა, ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო ერთ-ერთ ეკლესიაში შევედით. წინდაუხედაობა გამოვიჩინეთ და სანთლები ჩვენ მივიტანეთ.

ღვთის სახლში შესულ ადამიანს სასიამოვნო სიწყნარისა და ამაღლებულობის განცდა იპყრობს. ჩვენც ასეთი განცდით განვეწყვეთ იმ რიტუალის შესასრულებლად, რომელშიც მხოლოდ ღმერთი და პიროვნება უნდა მონაწილეობდნენ. მაგრამ ეს თურმე არცთუ ისე ადვილი გასაკეთებელი ყოფილა. ამ რიტუალის ჩასატარებლად ათასი ფორმალობა უნდა გაიარო: საიდან გაქვს სანთელი, ხომ არ მოიპარე, შენ თვითონ იყიდე, თუ ვინმეს კეთილგანწყობა გამოიყენე, სანთელია ეს, თუ სხვა რამ სუროგატი, ეშმაკის ხელი ხომ არ ურევია ამ საქმეში. რაც მთავარია, სანთელს თურმე საფირმო ნიშანიც ჰქონია, რომელიც აზრადაც არ გვქონია. არ გჯერათ? აი, ნახეთ.

ეკლესიის მსახურმა ქალბატონმა ჯერ ოფიციანტის თვალით შემოგვხედა. შემდეგ მისი მზერა КГБ-ს თანამშრომლისას დაემგვანა და ბოლოს პოლიციის ოპერატიული მუშაკის სიმკვირცხლით „ფაქტზე აგვიყვანა“: აბა, მაჩვენეთ ეგ სანთლებიო და არც დაელოდებია ჩვენს ნებართვას, კარგი ფეხბურთელივით თვალსა და ხელს შუა აგვართვა სანთლები. დახედა, ოქროსავით შეამოწმა, ნამდვილია თუ არაო, სინათლის შუქზე გახედა, ალბათ, ფულის ანალოგიით ამოსაცნობ ნიშნებს ეძებდა. ბოლოს ნიშნისმოგებით გააქნია თავი, აქაოდა არ გაგიმართლათო. მოკლედ შეეხო ჩვენს გაუნათლებლობას საეკლესიო საკითხებში. რაც შეეხება სანთლის დანთებას, სასტიკი უარი გვეტკიცა. მოტივი? ამ ეკლესიაში მხოლოდ ის სანთლები უნდა აანთოთ, რომელსაც აქვე იყიდითო. ისე ის ეკლესიაც ზუსტად დაგვისახელა, სადაც ეს სანთლები გვქონდა ნაყიდი.



ჩვენმა პროტესტმა არ გაჭრა. დედაკაცი შეუვალი იყო. საზეიმო და ეკლესიაში შესვლით შექმნილი განწყობა გაგვიქრა, რაღაცამ ისევ ამ ცხოვრების რეალობაში დაგვაბრუნა. თავს მოვერიეთ, მის მიერ შემოთავაზებული სანთლები ვიყიდეთ და რისთვისაც მოვედით, ის რიტუალი შევასრულეთ.

როგორ დაეიჯერო, რომ უფალი ისე „დაწვრილმანდა“, რომ სად რომელი სანთელი უნდა აანთო, ისიც კი განსაზღვრა. მაპატიეთ ორთოდოქსალური ქრისტიანობის საკითხებში ჩემი ესოდენ გაუთვითცნობიერებლობა, მაგრამ მე მგონია, რომ ქართულ ეკლესიაში რაღაც გასაღების ბაზარია შექმნილი და შეიძლება ამ ბაზარს ვიღაცაც აკონტროლებს. თუ ჩვენი ეკლესია ბიზნესის წყარო გახდა, გაიხადონ მაშინ ანაფორები, შეიძინონ შესაბამისი ატრიბუტები (ჰალსტუხი, მობილური ტელეფონი), გატარდნენ რეგისტრაციაში, გადაიხადონ გადასახადები, სახელმწიფოს ორ (და არა ერთ ორ) კაპიკს მაინც მისცემენ, რომლითაც ეს უკანასკნელი, ალბათ, პენსიებს გასცემს. ამაზე მეტი ქველმოქმედება რაღა უნდა გააკეთონ წმინდა მამებმა.

**პ.მანჟულაშვილი**

# „ვინაც კუჭს პატივს არა სცემს, იგი თავისა მტერია“

## „თბილისობის“ წინა ღამეს

ბარე კახეთის ერთ-ერთ დუქანს უცნაური ტრანსპარანტი ამშვენებდა – „ვინაც კუჭს პატივს არა სცემს, იგი თავისა მტერია“. საზეიმოდ მორთულ სუფრაზე თავს იწონებდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის გამორჩეული სასმელ-საჭმელი. სუფრის მონაწილეთა შორის მეც აღმოჩნდი, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ. სტომაქგადმოგდებულმა ახმახმა, ძლივს რომ წამოდგა სათამადო სავარძლიდან, იქ მყოფთ გადმოგვხედა, ყანწი ხელში შეათამაშა და ნაბახუსევი ხმით წამოიწყო:

– მეგობრებო, სიხარულისაგან ისე დავიბენი, აღარ ვიცი, საიდან დავიწყო, გაკადნიერებულმა მასპინძელს აღარ დავაცადე და თვითონ წარმოგიდგინეთ თავი სუფრის ხელმძღვანელად.

– კარგი რა, მიხო! ნუ იცი ხოლმე ზოგჯერ იმერელივით თავის გამოდება, წუხელ ხომ შეთანხმდით ამაზე შენ, ვანო ერბოწონაშვილი და ლუარსაბი. – გაყიდა მიხო კნეინა დარეჯანმა. მიხომ კნეინას სიტყვები ქათინაურად მიიღო, სტომაქზე ხელი გადაისვა და გააგრძელა:

– ქართველობა ხვალ უკვე მერამდენედ იდღესასწაულებს „თბილისობას“, ბევრ გამორჩეულ ჩვენიანსა და უცხოელს მივანიჭეთ „საპატიო თბილისელის“ წოდება, მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ დღემდე არავის გახსენებია საქართველოში ყველაზე ცნობილი და კოლორიტული პიროვნება, ბატონი ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნეინა, ქალბატონი დარეჯანი. აბა დამისახელეთ მსგავსი წყვილი, მათებრ ღირსეულად რომ წარმოაჩენდნენ ქართველი მამაკაცისა და ქალის საუკეთესო თვისებებს ყველგან და ყველაფერში. ჩვენი ერის ყველა თაობა მარად იქნება დავალებული მათგან. მეამაყება, რომ მეც ამ დიდებული კასტის წევრი ვარ, ვინც იცის ქართული სუფრის შნო და ეშხი.

ჩვენი შეკრების მიზანია, ბოლოს და ბოლოს სამართალმა პური ჭამოს და თბილისის მერიას სასწრაფოდ ვაცნობოთ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ: უკონკურსოდ მიენიჭოს ზემოხსენებული წოდება თავად თათქარიძესა და მის განუყრელ კნეინასა.

ოვაციები დუდუკების საამო ჰანგმა დაასრულა. ალავერდს მიხო პირველად ტარიელ მკლავაძესთან გადაუვიდა:

– მოწვევა რომ მივიღე, ღამეები არ მეძინა, ვიცოდი, შეკრება ღირსეულ მეგობრებთან ღირსეული ქეიფით დამთავრდებოდა. ხომ უთქვამთ უცხოელებს, ყოველი ქართველი პოეტიაო. ჰოდა, მეც ბატონ ლუარსაბისადმი ამ დღეებში მიძღვნილი ჩემი ლექსი მინდა წაგიკითხოთ. დარწმუნებული ვარ, გულგრილი არავინ დარჩებით.

კაცი უნდა კაცსა ჰგავდეს,
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
პრეტენზია უნდა ჰქონდეს, ჭკუა
სულაც რომ არ ჰქონდეს,
თუნდ ქვეყანა ცეცხლმა
შთანთქას,

გაგრძელება მე-6 გვ.



ეროვნული

## ფული და პოლიტიკა

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ზურაბ ერქვანიას განცხადებით, თუ საქართველოს უნდა, რომ მობილიზებულად და ნორმალურად დაბრუნდეს აფხაზეთში დღესვე უნდა იფიქროს კადრების მომზადებაზე. ამიტომ მას გაუმართლებლად მიაჩნია შტატების შემცირება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურებში.

ამ საკითხს უკავშირებს იგი იმ თანხას, რომელსაც აფხაზეთიდან დევნილთათვის გამოყოფს ცენტრალური ბიუჯეტი. აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლება 9 მლნ 500 ათას ლარს მოითხოვს, რაც თითქმის სამჯერ აღემატება მათთვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფილ 3 მლნ 700 ათას ლარს. „აფხაზეთზე ლაპარაკი უკვე პოლიტიკას უკავშირდება, ამიტომ ბიუჯეტიც პოლიტიკური საკითხია. ღმერთმა ქნას, რომ ახალ საბიუჯეტო წელს აფხაზეთში შევხვდეთ, მაშინ ასე დაჟინებით აღარ მოვითხოვთ ამ თანხებს. დღეს 9 მილიონი აუცილებელია დევნილებისთვის, რადგან მათი მდგომარეობა თანდათან უარესდება და ალბათ მალე ველარ გაუძლებს ამ სიტუაციას“ – აცხადებს ზურაბ ერქვანია. (ბეა)

## 1998 წლის ბიუჯეტში გამოკვეთილი არ არის პრიორიტეტები

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, დეპუტატ რევაზ საყვარელიძეს მიაჩნია, რომ 1998 წლის ბიუჯეტის პროექტში, ისევე, როგორც 1997 წლის ბიუჯეტში, გამოკვეთილი არ არის პრიორიტეტები. გასავლის 90% მიმდინარე ხარჯებზეა გათვალისწინებული. ამის შესახებ „იფრინდა“-ს ედპ-ს პრეს-სამსახურში აცნობეს.

რ.საყვარელიძის აზრით, ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სახელმწიფო საზღვრების დაცვის მატერიალური უზრუნველყოფა უნდა გამხდარიყო. პარტია 1997 წლის ბიუჯეტის შედგენის დროსაც მოითხოვდა, რომ საზღვრების დაცვა ბიუჯეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი ყოფილიყო. პრეს-ცენტრის ინფორმაციის თანახმად, სამწუხაროდ, მომავალი წლის ბიუჯეტი ამ მიმართულებით მოკრძალებულ ციფრებს გვთავაზობს. მათივე თქმით, ბოლო ხანს საქართველო-თურქეთის საზღვარზე მომხდარმა ინციდენტმა, ლარსის მოვლენებმა, რუსი მესაზღვრეების თვითნებობა კიდევ უფრო აქტუალური გახადა. საკუთარი ძალებით საქართველოს საზღვრების დაცვა, ქართველი მესაზღვრეების მიერ საქართველოს საზღვრების თანდათანობით გაკონტროლება ჩვენი ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველი გახდება.

ამასთან დაკავშირებით, ედპ-სათვის ძნელად ასახსნელია პარლამენტის დუმილი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით, როცა ორი მოსმენით მიღებული კანონპროექტის საბოლოოდ მიღება გაურკვეველი ვადით გადაიდო. რ.საყვარელიძის თქმით, კანონის მიღება, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენი საზღვრების დაცვა საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საქმეა, სამართლებრივ ბაზას შეუქმნის ქართველი მესაზღვრეების მიერ რუსი მესაზღვრეების თანდათანობით, ეტაპობრივ ჩანაცვლებას, საზღვრის სტრატეგიული უბნების გაკონტროლებას. (იფრინდა)

## საკოორდინაციო საბჭო დევნილთა ყრილობისათვის ემზადება



როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს წევრმა, ბორის კაკუბავამ განაცხადა, გუშინ გაიმართა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. ბ.კაკუბავას თქმით, სხდომის ძირითადი თემა იყო 10-11 ნოემბერს დევნილთა მეორე ყრილობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ყრილობაზე ჩამოსასვლელად 300000 ლტოლვილის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ბ.კაკუბავას ინფორმაციით, ყრილობაზე ძირითადი მომხსენებლები იქნებიან საქართველოს პრეზიდენტი ე.შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზ.ჟვანია, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება – ა/რ უმაღლესი და მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები ნადარეიშვილი და ზერქვანია (იფრინდა)

## ვინ დარჩა მოგებული?

პარლამენტის აგრარულ საქმეთა კომიტეტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ისევ დაპირისპირებაა. ამჟამად საქმე საპარტნიორო ფონდიდან გამოყოფილ 400 ათას ლარს ეხება, რომელიც ტენდერში გამარჯვებულ ფირმა „ამიკო-96“-ს გადაეცა საქართველოს რეგიონებში დიზელის საწვავის შესატანად.

პარლამენტის აგრარულ საქმეთა კომიტეტი თვლის, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ უყურადღებობა გამოიჩინა ამ საკითხში და მისი უკონტროლობის გამო საწვავი შესაბამისად არ გადანაწილდა, რის გამოც რიგი რაიონები საწვავის გარეშე დარჩნენ. როგორც ირკვევა, რაიონებმა, არაფერი იცოდნენ საწვავის შესახებ. კომიტეტის თავმჯდომარის, როზა ლორთქიფანიძის თქმით, ჩატარდა შემოწმება მთელი საქართველოს მასშტაბით და აღმოჩნდა, რომ იმ ფერმერთა სიაც კი არ არსებობს, ვინც ეს საწვავი მიიღო. ამის საპასუხოდ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილემ, გურამ დიდბარიძემ განაცხადა, რომ სამინისტრო არაფერ შუაშია. იგი დაუკავშირდა რაიონების გამგებლებს, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში უარი უთხრეს საწვავის მიღებაზე, რადგან „ამიკო-96-“ის მიერ შეტანილი პროდუქცია 25 თეთრად მიეწოდებოდა მომხმარებელს, ამ დროს კი დიზელის საწვავის ფასი ამ რაიონებში 45 თეთრი იყო. დიდბარიძის განცხადებით, რაიონის ხელმძღვანელობამ ხელოვნურად დაბლოკა 25 თეთრიანი საწვავი, რათა 45 თეთრიანი საწვავის რეალიზაცია მოეხდინა. ხოლო რაც შეეხება თავად ამ 400 ათასს, „ეს თანხა ევროკავშირს ეკუთვნის, რომელიც არ გვაპატიებს ვალის არდაბრუნებას“ – აცხადებს მინისტრის მოადგილე. ამის გამო სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო იძულებული გახდა გვარების მიხედვით გადაეცა სია შსს-სთვის, რომელმაც გამოძიება დაიწყო იმ პირებთან დაკავშირებით, ვინც დიზელის საწვავის შემოტანისა და გადანაწილების პროცედურაში იყო ჩართული.

დიდბარიძის საწინააღმდეგოდ ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, რომან კვაჭაძემ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრალი დასდო კონტროლის მექანიზმის არარსებობაში და განაცხადა: ამ უმართავმა პროცესებმა, სხვაზე რომ აღარაფერი ითქვას, თვით „გურიაშიც კი აშკარად დასცა პრეზიდენტისა და მთავრობის რეიტინგი“. (ბეა)

## კომისია მოუწოდებს და აფრთხილებს მოსახლეობას

აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, 1 ნოემბრიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყოს საყოველთაო პრივატიზაციის პროცესი. ამ ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომა გაიმართა, რომელმაც განცხადებით მიმართა აფხაზეთში დღეს მცხოვრებ მოსახლეობას.

განცხადებაში ნათქვამია, რომ პრივატიზაციის პროცესის ჩატარება მაშინ, როდესაც აფხაზეთის ტერიტორია იძულებით დატოვებული აქვს მისი მოსახლეობის 3/4-ს, რომელთა მატერიალური დანაკარგები ასეულობით მილიარდ დოლარს შეადგენს, არის უკანონო მოქმედება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა უხეში დარღვევა.

ვინაიდან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგმობილია აგრესიული სეპარატიზმი და ნაციონალიზმი, აღიარებულია აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის წმენდა და გენოციდი, საქართველოს პარლამენტის მიერ 1994-96 წლებში მიღებული დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია სეპარატისტთა მიერ მიღებული ე.წ. კონსტიტუცია, პრეზიდენტის ინსტიტუტი, საკანონმდებლო აქტები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები უცხო ქვეყნების სტრუქტურებთან.

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისია მოუწოდებს და აფრთხილებს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას და პრივატიზაციის პროცესის სუბიექტად მიჩნეულ სხვა ჯგუფებს, არ მიიღონ მონაწილეობა სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებულ პრივატიზაციაში, რადგან აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვლება აღნიშნულ პრივატიზაციასთან დაკავშირებული აქტები ყველა თავისი შედეგებით. (ბეა)

## გადაწყდა პატიმრებისათვის მოძღვრის დანიშვნა

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორისა და შს მინისტრის მოადგილის პენიტენციალურ საკითხებში, დემურ მიქაძის გუშინდელ შეხვედრაზე გადაწყდა – შს სამინისტროსთან შეიქმნას ციხე-კოლონიებში პატიმართა მოძღვრის საშტატო ერთეული, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ პატიმართა საერთაშორისო თანამეგობრობის პრეზიდენტი საქართველოში ლალი აფციაური, საქართველოს საპატრიარქოს შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე, ფოთის ეპისკოპოსი გრიგოლი და გაერთიანებული აკადემიის ტაძრის წინამძღვარი იღუმენი ზენონი.

საპატრიარქოს პრეს-ცენტრის ცნობით, საქართველოს ციხე-კოლონიებში დღემდე პრობლემას წარმოადგენს პატიმართან მოძღვრის შესვლა, რადგან ამისათვის სპეციალური საშვია საჭირო. შს სამინისტროსთან შექმნილი აღნიშნული საშტატო ერთეული კოორდინაციას გაუწევს საქართველოს 12 კოლონიასა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, პატიმართა მოთხოვნის შესაბამისად, მოძღვრის გაგზავნას. (პრაიმ-ნიუსი)

# ჩვენ ვიპოვით შავ კატას ბნელ ოთახში, თუნდაც ის იქ არ იყოს

## რუსთავის „სამშობიაროს მაფიის" ნამდვილი სახე

*ყველამ იფიქრა, ეს არის და, ახალი მაფიოზური კლანი გამოაშკარავდაო. მაფიოზთა წარმოშობის ნაირსახეობით ქართველებს ვერ გააკვირვებ, მაგრამ „მაფიოზი – სამშობიაროს მთავარი ექიმი" საკმაოდ პიკანტურად ჟღერს. ამიტომაც დაგვიანებით, მაგრამ იმ იმედით, რომ „სენსაციის ნარჩენებიდან" მეც რაღაცა შემხვდებოდა რაიმე უცნობი ნიუანსის ძიებაში, ვესტუმრე რუსთავს. აბა „მთავარ მაფიოზთან" შეხვედრას როგორ გავბედავდი. ჯერ მნახველებთან ვცადე ურთიერთობა, რომელთაც, ჩემდა გასაკვირად, კმაყოფილება გამოთქვეს სამშობიაროს მუშაობით, შემდეგ მომსახურე პერსონალსაც შევბედე. ექთნებისა და სანიტრების მშრალი „ბლიც-ინტერვიუების" შემდეგ, რომლებშიც აგრეთვე ჩემი წარმოდგენის საპირისპირო სურათი ჩანდა, ჩემი გზა სამშობიაროს იურისტ ქურციძესთან მივიდა. ქალბატონი საკმაოდ კომუნიკაბელური აღმოჩნდა:*

– ყველაზე მეტ გაუგებრობას ის ბადებს, რომ მკითხველს აწვდიან მოპაექრე მხარეების ემოციურ განცხადებებს. არავის მოსდის აზრად, რომ საქმის სამართლებრივ მხარეს შეხედოს. გიორგაძე მიმღების საგუშაგოს ბებიაქალის თანამდებობიდან გადანაცვლებულ იქნა მელოგინეთა საგუშაგოს ბებიაქალის ადგილზე. იგი არავის არ მოუხსნია და სანამ კონტრაქტის ვადა არ გაუვა, მისი დათხოვნა არ მოხდება და ეს არც იგულისხმება, არც მისი უფლებები ირღვევა. იგივე ითქმის ძამაშვილის შესახებ. ხოლო ლალი ლეგაშვილი სავსებით კანონიერად იქნა გათავისუფლებული, ვინაიდან მას კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა.

*– კონტრაქტი ახსენეთ. რას წარმოადგენს ეგ „დაწუნებული" კონტრაქტი, რომელზეც, მომჩივანების, მათი განცხადებით, მოტყუებით, თუ ძალით მოაწერინეს ხელი?*

– თუ ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მათ ის მაინც უნდა მიუთითონ სიცხადისათვის, რა გზით მოხდა ყოველივე ეს. ისე, მე მიჭირს იმის წარმოდგენა, თუ რა სახის დაძალებას უნდა ჰქონდეს ადგილი, კონტრაქტზე ხელის მოწერის დროს იარაღით ხომ არავინ დაადგებოდა. მოტყუებას რაც შეეხება, ეგენი ისეთი მიამიტები არ არიან, პირიქით, იქით მოატყუებენ სხვას.

„დაწუნებული" კონტრაქტიც მაგათებური ტერმინია. სინამდვილეში ეს არის კონტრაქტის ძველი ფორმა, რომელიც ჩვენ მაშინ გვქონდა და უბრალოდ ახალით შეიცვალა. ძველი ფორმა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. განსხვავება მათ შორის სულ რამდენიმე პუნქტშია, რომლებიც, თქვენ თვითონ დარწმუნდებით, არაძირითადია. კერძოდ, ეს არის პუნქტი ფასიანი შევსულების შესახებ და ის, რომ: „კონტრაქტი ძალაში შედის დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მხარეები ხელისმოწერით დაადასტურებენ თანხმობას". მე მგონი, სინდისი ეყოფათ და არ იტყვიან, ფასიანი შევსულებით არ გვისარგებლიაო. ხელმოწერები კი თავისთავად ადასტურებს კონტრაქტის იურიდიულ ძალას. მაგათი ჩივილი მხოლოდ ბარავკოვის დისკრედიტაციისაკენ არის მიმართული. ძამაშვილი 20 წელია ყველას უჩივის და ახლა რატომ შეიცვლის „პროფესიას"?!

*– თქვენ რომ ის „ლევი" სარეგისტრაციო ჟურნალი წარმოგიდგინონ, რომელიც თქვენს ერთ თანამშრომელს აქვს ხელთ, როგორ იმართლებთ თავს?*

– ასეთი ჟურნალის არსებობის შესახებ მე არაფერი მსმენია. და თუ ამ ჟურნალის არსებობა ფაქტია, მაშინ მასზე მთავარი ექიმის ან სხვა ოფიციალური პირის მიერ რაიმე კვალი მაინც უნდა იყოს დატოვებული (ხელმოწერა,



რუსთავის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ალექსანდრე ბარავკოვი

რეზოლუცია ან აღნიშვნა, ბოლოს და ბოლოს), რომელიც მტკიცებად გამოდგება, თორემ იმ ქალბატონს, რომელიც ყველას იფიცებს, მე არ მივსულვარ რედაქციაშიო, თავისუფლად შეეძლო ასეთი ჟურნალის იმიტაცია. ისე, საინტერესოა, რატომ არ გამოაქვეყნა „ალიამ" იმ ჟურნალის ერთი ფურცლის ფოტოპირი მაინც, თუ რამით წაგავდა ნამდვილს?

*– განა ისიც ტყუილია, რომ ქალი, რომელიც აევტისოვას გვარით შემოვიდა და ბავშვის გაყიდვასთან დაკავშირებულ ეპიზოდში ასახელებენ, ანდრეევას გვარით გაეწერა?*

– არა, ეს არ არის ტყუილი იმ აზრით, რომ ის მართლაც შემოვიდა ერთი გვარით და გაეწერა მეორეთი. მაგრამ თუ ვინმეს გულწრფელად აინტერესებდა ეს ფაქტი, ლილი ძამაშვილისთვის კი არ უნდა ეკითხა, რომელსაც ამ საქმეში არაფერი გაეგება, არამედ – ჩემთვის და სწორ პასუხსაც მიიღებდა. როდესაც ქალი შემოდის სამშობიაროში, თუ არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი საბუთი, საპასპორტო მონაცემები ივსება ზეპირი განცხადებით. პასპორტის წარმოდგენისას კი აღმოჩნდა, რომ იგი ბავშვის მამის გვარს არ ატარებდა. ისე, ეს დეტალი ძამაშვილსაც კი უნდა სცოდნოდა, მაგრამ არ აწყობდა მისი „გახსენება". წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ ერთ „ფაქტს" მოისაკლისებდა ბარავკოვის საწინააღმდეგოდ მიმართულ კამპანიაში. ბარავკოვი რომ არ იყოს სამშობიაროში, საშინელი მდგომარეობა იქნებოდა, რაც მისი არყოფნის დროსაც გამოჩნდა. მაფიოზად და საშინელ ადამიანად უბრალოდ კომიკურია, ნახეთ და თვითონ დარწმუნდებით.

გათამამებულმა მთავარ ექიმსაც შევბედე ჩემი კითხვები. საბოლოოდ ყველაფერი კონფლიქტებისა და სავალალო შედეგების გარეშე დამთავრდა. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ა.ბარავკოვი წყნარად მოსაუბრე, ინტელიგენტი ადამიანია და მისი მაფიოზად წარმოდგენა მართლაც სასაცილოა.

*– ის, რომ კონტრაქტის პირობებით იხელმძღვანელეთ, საქმის ფორმალური მხარეა. მაგრამ ადამიანმა, ხელმძღვანელმა რა მოსაზრებით მოახდინეთ ის ცვლილებები? ადამიანს იმიტომ ხომ არ ათავისუფლებენ, რომ მას კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა?*

– გიორგაძის შემთხვევაში იყო ისეთი ფაქტი, რომელიც საკმაოდ გახმაურდა და არ მსურდა ისევ იმ ადგილზე მსგავსი ქმედებები ჩაედინა. ლეგაშვილი, რა თქმა უნდა, განაცხადებს, რომ ეს ჭორებია, მაგრამ ამ „ჭორების" უკან ის დაზარალებული მედპერსონალი დგას, რომელთაც მხოლოდ იმ მიზეზით არ აღძრეს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, რომ არ ისურვეს ჩვენი ცუდის საჯაროდ გამოტანა. ასეთ თანამშრომელს ნამდვილად არ ვისურვებ სამსახურში. ამიტომაც აღარ განვაახლე მასთან კონტრაქტი. დ.ძამაშვილი თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა ისეთ დონეზე, როგორც ადრე, ამიტომ მისი შესაძლებლობების შესაფერის ადგილზე გადავიყვანე.

სხვათა შორის, სასამართლოს არასწორი გადაწყვეტილების საფუძველზე, საქმის საბოლოო გარკვევამდე, გიორგაძე 1 ოქტომბრიდან დაბრუნებულია ძველ ადგილზე. მაგრამ ის არ გამოდის სამსახურში იმის გამო, რომ ღამის საათებში უნდა მუშაობა. ამ დროს მისი მორიგეობა ნაკლები კონტროლის პირობებს ნიშნავს, მე კი მირჩევნია, რომ მეტი კონტროლის ქვეშ იყოს. ამდენ თავისუფლებას კი იმიტომ აძლევს თავის თავს, რომ ჩემს ლოიალურ ხასიათს იყენებს. მე ის სამსახურში მივიღე ახლობლის რეკომენდაციით. არავითარი თანამდებობისთვის შესაფერისი განათლება მას არ გააჩნია. ჩემი აზრით, მას სიკეთე გავუკეთე, მაგრამ მისთვის ერთი და იგივე ყოფილა – კარგს გაუკეთებ თუ ცუდს.

*– მე ვგრძნობ, რომ თქვენთვის უხერხულ კითხვას გაძლევთ, მაგრამ მას ვერ გავექცევით. გიორგაძეს უთქვამს, რომ თქვენ მას... მოკლედ, რაც თხოვეთ. მე ასე ვიცი, რომ როცა ქალს მსგავს წინადადებას აძლევს ვინმე, ის პირველ რიგში ამას ქმარს ეუბნება, საქართველოში ამ საქმეს მეუღლე აგვარებს ყოველგვარი სასამართლოსა და პროკურატურის გარეშე – ან ცემს შეურაცხმყოფელს, ან უფრო უარესს გაუკეთებს. არ ჰქონია ადგილი მსგავს ინციდენტს?*

– არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა.

*– რატომ? მოერიდა თქვენი, შეეშინდა თუ რა?*

– არც ერთი და არც მეორე. როდესაც ჩემთან საჩივრით შემოვიდნენ გიორგაძის მიერ ფულის გამოძალვის ფაქტზე, მე იგი გამოვიძახე სახლიდან. მისმა ქმარმა დამირეკა და საკმაოდ „შემახურა": როგორ გავბედე და მისი ცოლი ღამით გამოვიძახე. ახლა მითხარით, ასეთი რამ რომ მართლაც მომხდარიყო, ეს კაცი თავს შეიკავებდა? ის, რომ გიორგაძე ამას ხალხში ლაპარაკობს და მისი მეუღლე ამაზე რეაგირებას არ ახდენს, იმაზე მიუთითებს: მან იცის, რომ ეს არ არის სიმართლე.

გარდა ამისა, ნებისმიერ თანამშრომელს, თუ ჩემს ნაცნობს ჰკითხეთ, ოდესმე ვინმეს თუ შეუმჩნევია ჩემთვის ასეთი რამ. არც, როგორც ხელმძღვანელს, არ მაძლევს ხელს ასეთი მისწრაფების ქონა. რომელი პაციენტი მოვა ჩემთან, ასე რომ ვიქცეოდე, ან რომელი თანამშრომელი გამიჩერდება?

*– „ალიაში" გამოქვეყნებულ მასალაში თქვენი ინტერვიუ ძალიან უცნაურია. ისეთი ფრაზები გაქვთ ნათქვამი, რომლებიც თქვენს გასამართლებლად ნამდვილად არ გამოდგება. თქვენი ნათქვამი თქვენს საწინააღმდეგოდაა მიმართული.*

– ამას „ალიას" კორესპონდენტის ტენდენციურობას უნდა ვუმადლოდეთ.

*– არა, კორესპონდენტი თავის კომენტარს არ აკეთებს და თავისი სახელით არ ამტკიცებს რამეს ვინმეს საწინააღმდეგოდ.*

– ეგ მართალია, მაგრამ ჩემი ნალაპარაკები შეცვლილია. ხშირად, სიტყვაც რომ მოაკლო წინადადებას ან სხვა ადგილას ჩასვა, აბსოლუტურად სხვა აზრი გამოდის. ამ შემთხვევაში კი თავისთვის სრული თავისუფლება მიუცია. თანაც მე აღელვებული ვიყავი და ეს მომენტიც თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ასეთი მაგალითები ხშირია. ხომ გახსოვთ ზ.ჟვანიას ნათქვამი როგორ გადააკეთეს: პირველს მივცემ, შემდეგ – მეხუთესო. რას იზამ, ქართული სიტყვა ხშირად ორაზროვანია. ხშირად ერთისთვის რომ სასაცილოა, მეორესათვის ტრაგედია შეიძლება იყოს.

ძალიან ძნელია, დაიბეჭდება რაიმე ტენდენციური მასალა და შემდეგ ყველას უნდა უმტკიცო, რომ აქლემი არა ხარ. პრესას არ უნდა ჰქონდეს მიზნად სენსაციის ძიება. თუ მართლაც არის სენსაცია, პირველმა უნდა გაიგო და სრულიად არასასურველია, რომ თვითონ შექმნა იგი. „ალიასა" და ზოგიერთი სხვა გაზეთისათვის ეს მუშაობის სტილია და გაყიდული გაზეთის იქით ადამიანებს ვერ ხედავენ.

*– მაგ სამეულის მოქმედებამ კლიენტურაზე ხომ არ იმოქმედა?*

– ჩვენი სპეციფიკა ისეთია, რომ ადამიანი კლინიკას შემთხვევით არ ირჩევს. ვინც მიდის სამშობიაროში, წინასწარ იცის, სადაც მიდის. ეს ისეთი ცხოვრებისეული სიტუაციაა, რომ შემთხვევითობას ვერ დაეყრდნობი. არა მგონია, თქვენ რუსთავში იპოვოთ ისეთი ადამიანი, ვინც ამ ინციდენტის გამო მისამართს შეიცვლის და სხვაგან წავა. ეგ კი არა, თვითონ ერთი მომჩივანთაგანი ჩვენი პაციენტი უნდა გახდეს და ნახეთ, თუ ისიც ისევ ჩვენთან არ მოვიდეს.

*– გმადლობთ.*

**ესაუბრა პ.მანძულაშვილი**

# „ვინაც კუჭს პატივს არა სცემს, იგი თავისა მტერია“

## „თბილისობის“ წინა ღამეს

მეოთხე გვერდიდან



თუნდ გაწვიმდეს, თუნდ
გათოვდეს,
არასოდეს იწუწუნოს,
არასოდეს არ დაღონდეს,
ლამაზების დანახვაზე
ხოხობივით კრიახობდეს,
იყოს ლოთიც, იყოს შფოთიც,
ძმაკაცებში თამადობდეს,
აქ სახელი რომ დაიგდოს და
იმ ქვეყანაც რომ ცხონდეს,
ქართულ სუფრას, ქალს და
ღვინოს არასოდეს ღალატობდეს,
ერთი სიტყვით, მოკლედ რომ
ვთქვათ, და ამ ლექსსაც აზრი
ჰქონდეს,
კაცმა უნდა თვით იცოდეს, სად
როგორი ჭკუა ჰქონდეს.

ოვაციებმა კიდევ ერთხელ გააყრუა დუქანი. კიდევ დაიცალა ყანწი.

– ვაი ჩვენს პატრონს, – თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა ჩემს გვერდით მჯდომმა სპირიდონ მცირიშვილმა. მკვლავაძეს ცუდად ენიშნა მისი სახის მიმიკა.

– როგორც ჩანს, ჩემი მუშტის გემო ისევ მოგნატრებია, შე ჭინჭრაქავ, შენა! – შეუღრინა მკლავაძემ მცირიშვილს და ჯიქურ გაიწია სპარინგ-პარტნიორისაკენ.

– ვიცოდი, ჭკუა არ მოგემატებოდა და იმიტომ წამოვიღე ისევ რევოლვერი, – ჯიბისკენ წაიღო ხელი სპირიდონმა. მკლავაძე ნირწამხდარი უსიტყვოდ ჩაეშვა სავარძელში. დაძაბულობის გასაფანტავად მიხომ გვერდით მჯდომ ლოყებღაჟღაჟა ერბოწონაშვილს სასწრაფოდ შეავსებინა ყანწი და კვაჭი კვაჭანტირაძისაკენ აფრინა.

– აქამდე ახლა ისეთი კაცის სუფრასთან შევიკრიბეთ, უადგილოც კია მისი შექება. ქება იმას სჭირდება, ვისაც არავინ იცნობს, ვისაც არაფერი გაუკეთებია ერისა და ქვეყნისათვის. მოსაწვევის მიღებისთანავე სამტრედიიდან ფრენა-ფრენით გამოვწიე თბილისისაკენ, მარა, რა გინდა, ჩვენმა „დამცველმა“ პოლიციელებმა ათჯერ მაინც გაგვაჩერეს გზაში. არ ვიცი, ძამა, ასე თუ გაგრძელდა ავტოინსპექტორთა თავგასულობა, რა ჯიბე გოუძლებს მაგენს. ადრე უფრო მორიდებულად იქცეოდნენ, ახლა სულ გევიდნენ თავს. მთელი წელი რომ ხელფასს ვერ მიეიღებ, რითი ვარჩინოთ ოჯახი, თუ თქვენისთანებს ხანდახან კბილი არ გავკარითო, – ასე იმართლეს თავი. ისეთი კატეგორიის ჩალიჩები წამევიდნენ ახლა, თვით კვაჭი კვაჭანტირაძეც ვერაფერს გოუგებს, ისეთ საქმეებს აიმასქნებენ, ჩვენს დროში რომ არც კი დაგესიზმრებოდა. სამტრედიიდან თბილისამდე გზის მხოლოდ ერთ მხარეს სამასამდე ბენზინის გასაიმასქნებელი ჯიხური დავთვალე. წარმოგიდგენიათ, გზის რამდენი ასეთი მონაკვეთია საქართველოში. ჩუმათელეთში ვისაც გაუვლია, დამეთანხმება, ლამის საქათმეებსა და სალორეებშიც კი გახსნან კაფე-რესტორნები. ახლა სახელწოდებებს აღარ იკითხავთ? ფულის გამო ყველაფერი ხომ არ უნდა იკადროს კაცმა, ძამია. განა ბატონ ლუარსაბს არ შეეძლო ჩარჩობა დაეწყო, მოტყუებით ფული ეშოვა, მაგრამ მან უკეთილშობილესი გზა აირჩია, ახალი ტიპის აკადემია გახსნა, რომელიც ერის გაჯანსაღებას ისახავს მიზნად. ახლა ბიბლიოთეკას არ იკითხავთ?

– ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, რას არ გაიგონებს კაცი, ლუარსაბ-დარეჯანი და აკადემია-ბიბლიოთეკა?! – ახლა უკვე ხმამაღლა წარმოთქვა გაოცებულმა სპირიდონმა.

– დიახ, დიახ! ცოტაც მოიცადეთ და უფრო საინტერესო ამბებს შეიტყობთ, ჩემო ბატონო სპირიდონ! – სიტყვა შეაშველა მიხომ კვაჭის და სავსე ყანწი ამჯერად ბახვა ფულავას შესთავაზა.

– მეგობრებო, როგორც ჩვენი მასპინძელი იტყოდა, ქვეყნად უპირველესად ჭამის პრობლემა უნდა მოაგვაროს კაცმა, ამას ყველაფერს კი ფული სჭირდება, – დაიწყო ფულავამ. ყველაზე ბინძური იდეები მშიერ კუჭში იბადება, მშიერი ნორმალურად ვერ იაზროვნებს. უფულო კაცთან საქმე არასოდეს დამიჭერია. ჩემი და ჩემისთანების ყნოსვა სწორედ რომ ფულზეა დაგეშილი. აბა, სცადეთ და ასი ერთნაირად ავსებული ტომარა დამიწყვეთ ასი მეტრის მოშორებით, სადაც მხოლოდ ერთი იქნება ფულით სავსე. თვალახვეული, ყნოსვით მივაგნებ იმ ერთ ფულიანს. ფულია ჩემი რწმენა და რელიგია. უიმისოდ ღმერთმა ერთი წუთით არ მაცოცხლოს. უფულო კაცი არ უყვარს არც მეგობარსა და ამხანაგს, არც ქალსა და არც კაცს. საკუთარი ოჯახის წევრებსაც მაშინ უყვარხარ, როცა ფულს შოულობ. უფულო კაცზე უსუსური და საცოდავი ქვეყნად არავინაა. უფულოდ ვერაფერს წამოიწყებ, ავტორიტეტს ვერ შეიქმნი. ასეა ძამიკო ეს, ასე ვზრდი შვილებსა და შვილთაშვილებს. ასე არ არის, ბატონო დავით? – დაიმოწმა ბახვამ გვერდით მჯდომი დავით დროიძე და ყანწი შეუვსო.

– აბა როგორ, ჩემო ბახვა, დროს უნდა მოერგო ლა შენს ჭკუაზე ატრიალო, თუ შენ ვერ იდი[illegible]ცე, დიდკაცს უნდა მიეკედლო, არაფერი ითაკილო, შენი გზით იარო და, ვინც რა უნდა, ისა თქვას. ღარიბს ტაშს არ უკრავენ, მდიდარი ყველგან მიღებულია. ჭკუა და ნიჭი ერთ კაცში იშვიათადაა, თუ მაინცდამაინც არჩევანზე მიდგა საქმე, ჭკუას უნდა მოუხმო ჯერ, ასეთია ცხოვრების წესი. რა უნდა, ძამა, პარლამენტში მსახიობსა და რეჟისორს, ექიმსა და ვეტექიმს, მწერალსა და მხატვარს. იციან, ძამა, საიდან რა გამოდნება და იქით გარბიან. მამაკაცი კი არ უნდა წუწუნებდე დღენიადაგ, უნდა მიდგე-მოდგე და ღმერთიც მოგხედავს. აბა დააკვირდი, ვინ ცხოვრობს დღეს ჩვენში კარგად, – ვინც გუშინ ცხოვრობდა. ვინ მოვიდა სათავეში ისევ, – ვინც გუშინ იჯდა იქ. შნო აქვთ და იმიტომ. ღმერთმა შეარგოთ ყველაფერი. აბა დაუკვირდით, რა გზებით აღმოჩნდნენ ვაჟბატონები სავარძლებში... – დროიძეს ეზოდან შემოსულმა ხმაურმა შეაწყვეტინა სიტყვა და იქითკენ გადაიტანა მზერა.

– მერე, ბიჭო, ამას მიმალავდით... – სიცილ-ხარხარით შემოიჭრა დუქანში ბოხოხიანი აზმახი, პირდაპირ თათქარიძისკენ გაიჭრა და მხრებზე ხელები შემოაჭდო, მერე დროიძეს ყანწი გამოსტაცა.

– ყვარყვარე ბატონს სიცოხლე, – შესძახა დროიძემ და სასწრაფოდ სასმისი შეუვსო.

თუთაბერმა მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი სიტყვით შეაქო თათქარიძეები, მერე სასმისი გამოწრუპა და სუფრასთან თადარიგი დაიჭირა.

კიდევ ბევრი საქებარი სიტყვა უთხრეს სტუმრებმა მასპინძელს. თამადამ ერბოწონაშვილს ყურში რაღაც უჩურჩულა, სუფრას მკაცრად გადახედა და განსაკუთრებული სიჩუმე მოითხოვა. ყველა მიხვდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა.

მიხომ ყანწი ისევ შეავსო, ნელი ნაბიჯით თავად თათქარიძისკენ გაემართა და სასმისი გადასცა.

ისტორიული სამადლობელის მოლოდინში სტუმარ-მასპინძელი ერთნაირად გაისუსა.

თათქარიძემ ყველა ქათინაური შეიფერა, მრავალმნიშვნელოვნად სუფრას თვალი მოავლო და...

– მოგეხსენებათ, არავინ მომიკლავს, არაფერი მომიპარავს, მარხვასაც ვინახავდი და ეკლესიაში სანთელსაც ვანთებდი... დღემდე ვერ გავრკვეულვარ, ასეთ უცოდველ კაცს რატომ გამირისხდა ღმერთი. ამიტომაც მეც ქვეყანას ცოტა სხვაგვარად შევხედე. ხომ იცით, ახლა რა დრო დაგვიდგა, თუ ცოტა თვითონაც არ გაინძერი, მარტო ქვეშევრდომების შემყურეს შიმშილით კუჭი ამოგიხმება. რაც შეეხება ბატონ სპირიდონის გაოცებას ჩემი და დარეჯანის მიერ [illegible] სასწავლებლის გახსნასა და უნიკალური ბიბლიოთეკის შექმნასთან დაკავშირებით, ახლავე დაწვრილებით მოგახსენებთ. ეს იდეა პირველად დარეჯანმა ჩამაგონა, მერე მეც ცოტა მივდექ-მოვდექი, ჭკუას მოვუხმე და იდეას ფრთები შევსხა.

– დიდებული საქმე წამოგიწყიათ, თავადო, მართლაც რომ დიდებული, – ხმა ამოიღო აქამდე კუთხეში მოკრძალებულად მიკუნჭულმა მეჯღანუაშვილმა, – განათლება უნდა მივცეთ ჩვენს შვილებს. ფული ჩვენა გვქონდეს, ამერიკასა და ევროპაში სასწავლებლად წასვლა კი სხვებს დავანებოთ, რომ მერე ჯიბეცარიელმა პროფესორებმა ცხვირი აუბზუონ ჩვენს შვილებს, თავისი სწავლა-აღზრდით თავი ამეტონ და დარდით დაგვიჭლექონ? არა, ბატონო, ფული ვისაცა აქვს, განათლებაც იმას უნდა ჰქონდეს.

მეჯღანუაშვილის რეპლიკას ბევრმა დაუკრა კვერი აქეთ-იქიდან.

– აბა გაიხსენეთ, ბოლო წლებში რამდენი ინსტიტუტი, უნივერსიტეტი თუ აკადემია გაიხსნა ჩვენში, – განაგრძო სიტყვა თათქარიძემ, – რამდენი აკადემიკოსი გამოიჩეკა, რითა ვარ მე იმათზე ნაკლები? მეც გავხსენი ინსტიტუტი. ჭკუა ვიხმარე და ქართველი კაცისათვის ყველაზე ახლობელი დარგი – სმა-ჭამა შევარჩიე. სხვებსაც დაბადებიათ ეს იდეა, მაგრამ განხორციელება ვერ გაუბედავთ, რადგანაც, რაც არ უნდა თქვა, ამ საქმეში პრიორიტეტი ჩემს ოჯახს ეკუთვნის. ორი წლის წინ დავაარსე „ქართული ეროვნული ჭამასმის აღორძინების ინსტიტუტი“, რომელიც მალე უნივერსიტეტად გადავაკეთე. ამჟამად კი აკადემიად გადაკეთდა.

დამეთანხმებით, ამით დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა. შეხედეთ ჩვენს ახალგაზრდობას, მათ ფერსა და ხორცსა, გული როგორ არ მოგიკვდებათ. გადახედეთ, რას დაემსგავსა ჩვენი ქვეყანა, როგორ აცვიათ, რას ჭამენ, რას სვამენ, განა ეს არის იმ რაღაც ეშმაკური ევროპული ცივილიზაციის სიკეთე? ქართველ კაცს ვინ უნდა ასწავლოს სმა-ჭამისა და სუფრასთან ქცევის კულტურა. აფსუს, ჩვენო წინაპრებო, რომ საფლავში არ გადატრიალდებით.

დარეჯანის დიდი მცდელობითა თავი მოვუყარეთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კულინარიულ ლიტერატურას, მერე ჩვენ თვითონ შევადგინეთ ახალი სახელმძღვანელოები და სალექციო კონსპექტები. წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ შედგენილ სახელმძღვანელოთა არასრულ სიას: 1. „რა ასაკიდან შეიძლება სმის დაწყება“; 2. „ნაბახუსევზე რეკომენდებული სასმელ-საჭმელები“; 3. „ძილის როლი გამაძღრობის შემდგომ პერიოდში“; 4. „მარხვის პრობლემა ქართულ ქელეხებსა და ქორწილებში“; 5. „ქალი, როგორც ასეთი“; 6. „მუსიკის როლი ქართულ სუფრაზე“; 7. „სადღეგრძელოების რიგითობის შესახებ“; 8. „ხაშლამის დამკვიდრების მცდელობის ვარიანტები დასავლეთ საქართველოს ქელეხების სუფრაზე“; უახლოეს ხანს განზრახული გვაქვს ამ საკითხის გამო მოვაწყოთ სახალხო რეფერენდუმი სრულიად საქართველოს მასშტაბით.

ახლა რაც შეეხება სასწავლებლის სტრუქტურას, ბაზასა და მეცადინეობის პროცესს: აკადემიის რექტორი თავად გახლავართ და იმავდროულად განვაგებ ორგანიზაციულ საკითხებს, თეორიულ ნაწილს კი ჩემი კნეინა დარეჯანი ხელმძღვანელობს, რომელიც უშუალოდ არჩევს პროფესორ-მასწავლებლებს სპეციალური ტესტების გავლითა. სამეურნეო საქმიანობას, რა თქმა უნდა, დათო წარმართავს, ჰიგიენის სფეროს – ლამაზისეული. აკადემიას აქვს საკუთარი თონეები, ბუხრები, თითქმის ყველა სახის ქართული და უცხოური მუსიკალური საკრავები, სუფრისათვის საჭირო ყოველგვარი ინვენტარი, სხვადასხვა ზომის ყანწები. მეცადინეობები მიმდინარეობს, როგორც ღია წესით, ისე დახურულ დარბაზებში. ჩემი მამული, ოცი ჰექტარი მიწა მთლიანად დავუთმე აკადემიას დამხმარე მეურნეობისათვის, გვაქვს მეცხოველეობის კომპლექსი, საზამთრო და საზაფხულო რესტორნები, დუქნები, სასაუზმეები, სადაც მოქეიფეთათვის შეუმჩნევლად ვატარებთ სტუდენტებისათვის ლექცია-მეცადინეობებს ქართულ სუფრაზე ქცევის წესების დაუფლების მიზნით.

აკადემია მთლიანად სამეურნეო ანგარიშზეა, აბა, სხვებს კი არა ეგევართ, რაღაცას რომ წამოიწყებენ, მერე თავს ვერ ართმევენ და ატეხენ ყვირილს: ეროვნულ საქმეს ვაკეთებთ და ბიუჯეტიდან დაგვაფინანსეთო.

აკადემიაში სწავლა უფასოა. თუ ეროვნული ინტერესები გამოძრავებს, შეიძლება ფასიანი სწავლება დააწესო? უფრო მეტიც, როგორ შეიძლება საშუალო სკოლაში ფასიანი სწავლება იყოს, მეათე-მეთერთმეტე კლასის ბავშვები ქუჩაში გაყარო და დანაშაულობების ჩადენისაკენ უბიძგო. ბევრს, ძალიან ბევრ მიუღებელ რამეს ვხედავ დღევანდელ საქართველოში. განა ექიმს ის უწერია ჰიპოკრატეს ფიცში, რომ „სასწრაფოთი“ მოყვანილ პაციენტს, ან მშობიარე ქალს, თუ წინასწარ ფული ვერ გადაიხადა, დახმარება არ აღმოუჩინოს და სასიკვდილოდ გაიმეტოს?

როგორ გგონიათ, განა მე ვერ

გაგრძელება მე-8 გვ.

## ● საზღვარგარეთში

### მეანაბრეების ინტერესები რუსეთშიც აღელვებთ

რუსეთის ფედერაციის მთავრობა შემნახველ ბანკთან ერთად რუსული რუბლის მომავალ დენომინაციასთან დაკავშირებით გაუფასურებისაგან მოსახლეობის ანაბრების დაცვის საკითხზე მუშაობს. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა რუსეთის მთავრობის კულტურისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იგორ შაბდურასულოვმა.

მისი თქმით, აღნიშნული საკითხი ე.წ. „ოთხეულის“ შეხვედრაზეც განიხილეს. როგორც შაბდურასულოვმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გამოქვეყნებული იქნება დენომინაციის პროცედურის დაწყებამდე, რადგანაც ეს პრობლემა მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებშია. მისი თქმით, რუსეთის მთავრობას უცნაურად ეჩვენება სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატის გამოთქმა, რომლებსაც მხოლოდ პარლამენტარები წარმოუდგენიათ მეანაბრეთა ინტერესების ერთადერთ დამცველად. (ბეა)

### იაპონიის მთავრობა სახელნიფო გადატრიალებას გადაურჩა

უცხოურ პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ რომ 1994 წელს სექტა „აუმ სინრიკიოს“ იაპონიაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ჰქონდა დაგეგმილი.

აღნიშნულის შესახებ სასამართლოს განუცხადა სექტის ყოფილმა წერმა „აუმ სინრიკიოს“ ერთ-ერთი ლიდერის, კიოხიდე ხაიაკავას სასამართლო პროცესზე. სასამართლო პროცესი ტოკიოში მიმდინარეობს. მოწმემ, რომლის ვინაობასაც არ ამხელენ, მოსამართლეებს აცნობა, რომ სექტას დაგეგმილი ჰქონდა პრემიერ-მინისტრის გატაცება, პარლამენტის შენობის აღება, ე.წ. „გაზის შეტევით“ პოლიციის ნეიტრალიზაცია და ხელისუფლების ხელში აღება. მოწმემ უარი თქვა ჩვენება მიეცა იმ საკითხზე, თუ რამ შეუშალა ხელი სექტას, რომ თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. როგორც ცნობილია, 1995 წელს სექტის წევრებმა ტოკიოს მეტროში განახორციელეს „გაზის იერიში“, რის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა. (ბეა)

### შიდსისგან თავისუფალი ჩრდილოეთ კორეა

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს ქვეყანა ერთადერთია მსოფლიოში, სადაც შიდსის ვირუსი არ არის გავრცელებული.

მოსახლეობის იმუნიზაციის ეროვნული დღის გამოცხადებისას მოშიმშილე ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა საზეიმოდ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეაში დიდი ხანია ბოლო მოეღო ყველა ინფექციურ დაავადებას და ამასთანავე, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქვეყანაში შიდსის ვირუსის შეღწევისათვის შეეშალა ხელი.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კორეაში, სადაც წყალდიდობები და გვალვა ერთმანეთს ენაცვლებიან, დღითიდღე მატულობს შიმშილით დახოცილთა რაოდენობა. დაღუპულთა უმრავლესობას მოხუცები და ბავშვები შეადგენენ. კორეაში მყოფმა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ეს ქვეყანა ეროვნული კრიზისის წინაშე დგას. (ბეა)

# პარლამენტი არ დათმობს

სამ კვირაზე მეტია, რაც პარლამენტის „სახალხო“ ფრაქცია აფხაზეთში ვიზიტებთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის პარლამენტის საათზე ანგარიშით გამოსვლას ითხოვს. ნიკო ლეკიშვილის პარლამენტში გამოსვლამდე ფრაქციის წარმომადგენლებმა მასთან ვიწრო წრეში შეხვედრა გადაწყვიტეს. შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, გიორგი კობახიძესთან შედგა.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტი აფხაზეთში და აფხაზეთის ე.წ. ხელმძღვანელობის ვიზიტები თბილისში წმინდა ტექნიკურ ხასიათს ატარებდა. ამას ადასტურებს დელეგაციის შემადგენლობაც და ის საკითხებიც, რომლებიც აფხაზურ მხარესთან განიხილებოდა. ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა ფრაქციის წარმომადგენლები.

„არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც საქმე აფხაზეთს ეხება, ნებისმიერი საკითხი პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია, ამიტომ ნებისმიერი ნაბიჯი იმ საერთო პროგრამის ჩარჩოებში უნდა ექცეოდეს, რომელსაც იურისდიქციის აღდგენის კუთხით ერთობლივად განსაზღვრავენ პარლამენტი და ქვეყნის პრეზიდენტი“ - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას გიორგი კობახიძემ. მან ასევე აღნიშნა, რომ „სახალხო“ ფრაქციის დამოკიდებულება აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია და პასუხისმგებლობა იმაზე, რომ არ სრულდება პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ხელისუფლების ამ შტოს ეკისრება.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თქმით, დღეს შექმნილი მდგომარეობა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში არ იძლევა თანამშრომლობის საშუალებას მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის. ისეთ მნიშვნელოვან სტრუქტურებში, როგორებიცაა უშიშროების საბჭო და ის სამინისტროები, რომლებიც საზღვრავენ პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მისი აზრით, მმართველი უმრავლესობა ვერ გააკეთებს პროგრამას, თუ მისთვის ცნობილი



არ იქნება ოპოზიციის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი.

„აღმასრულებელი ხელისუფლების ასეთ მოქმედებას იმპროვიზაციას დავარქმევდი, პარლამენტი არ დათმობს პოლიტიკის განსაზღვრის უფლებას, თუნდაც პრეზიდენტის სასარგებლოდ. ეს არის ჩვენი კონსტიტუციური უფლება და მოვალეობა“ - აღნიშნა გიორგი კობახიძემ.

**მარიკა ხოფერია, გეა**

# მოსამართლეს 300 ლარი არ ეყოფა

„თუ სასამართლო რეფორმის დაფინანსება დარჩება 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ დონეზე, პარლამენტში შევალ ინიციატივით, საერთოდ შეჩერდეს სასამართლო რეფორმის პროცესი და გავაგრძელოთ ძველი სისტემით არსებობა“ - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, რეფორმისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული 1,6 მლნ ლარი პრაქტიკულად არაფერია. პარლამენტის წევრის აზრით, ასეთი დაფინანსებით თავიდანვე მივდივართ მოხალისე მოსამართლის ინსტიტუტამდე, რაც კორუფციის პირდაპირი სტიმულია. ცნობისთვის: სასამართლო რეფორმისთვის გათვალისწინებული თანხით მოსამართლის ხელფასი 200–300 ლარი იქნება, მაშინ, როცა მათ მინიმუმ 700–800 ლარი უნდა ჰქონდეთ. ამის მიზეზად მიხეილ სააკაშვილმა ფინანსთა სამინისტროს არაპოლიტიკური აზროვნება დაასახელა.

„ფინანსთა სამინისტრო ასეთი მნიშვნელობის საკითხებს პოლიტიკურად უნდა უდგებოდეს. იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო მიღებამდე სამინისტროს წარმომადგენლები დაიწყებენ პოლიტიკურ აზროვნებას. ასეთ აზროვნებას მათ პარლამენტი დააწყებინებს“ - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ, თუ დაფინანსების საკითხი არ შეიცვლება, კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ არ უნდა შევიდეს ძალაში. „დაველოდოთ უკეთეს დროს, ამ ეტაპზე ასეთი დაფინანსებით რეფორმების გატარება თავის მოტყუებაა და არა მგონია თავის მოტყუებით უნდა ვიყოთ დაკავებულნი“ - განაცხადა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ. (გეა)

## ოთხმხრივ შეხვედრაზე

როგორც გეა-ს კორესპონდენტს ქართველ სამხედრო დამკვირვებელთა სარდალმა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში, პოლკოვნიკმა თენგიზ ოშხერელმა აცნობა, გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში შემდგარ ოთხმხრივ შეხვედრაზე მხარეებს ერთმანეთისთვის არსებითი პრეტენზიები არ გამოუთქვამთ.

დღეს უნდა დადგენილიყო შეიარაღების შეზღუდვის ზონის ფარგლები, რაც ვერ მოხერხდა გაეროს ერთ-ერთი წარმომადგენლის შეხვედრაზე გამოუცხადებლობის გამო. ოშხერელის თქმით, აფხაზები დაინტერესებული არიან, რომ ზემოთაღნიშნულ ზონაში არ მოხვდეს ოჩამჩირესთან განლაგებული სამხედრო პოლიგონი. (გეა)

## ბაბენკოვს ტვინის შერყევა აქვს

როგორც გეა-ს კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში, გენერალი ბაბენკოვი სოხუმის ავტოკატასტროფის შემდეგ მოთავსებული იქნა არა მოსკოვის, არამედ ქალაქ როსტოვის სამხედრო ჰოსპიტალში დიაგნოზით - სამი ნეკნის მოტეხილობა, საშუალო სიმძიმის ტვინის შერყევა და მხრის კუნთების მძიმე დაქექილობა. მკურნალი ექიმების თქმით, დაზიანებული გენერალი 2-3 კვირაში ფეხზე დადგება. (გეა)

## ვახტანგ ყოლბაია:
# სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელება მიუღებელია

კიშინიოვის დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა სამიტზე საქართველოს დელეგაციამ პრინციპული და ობიექტური შეფასება უნდა მისცეს კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების საქმიანობას. ასეთ მდგომარეობაში და ამ ჩარჩოებში სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელება მიუღებელია, - თქვა პრაიმ-ნიუსთან საუბარში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ვახტანგ ყოლბაიამ.

საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბორის კაკუბავამ პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ საქართველოს პრეზიდენტთან გუშინდელი შეხვედრის დროს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ თუ რუსეთის სამშვიდობო ძალებს მანდატი გაუგრძელდება, მაშინ 10 ნოემბერს დაგეგმილი დევნილთა მეორე სახალხო ყრილობა მას უნდობლობას გამოუცხადებს და დაიწყებს დაუმორჩილებლობის აქციას.

ვახტანგ ყოლბაიამ პრაიმ-ნიუსთან საუბარში აღნიშნა, რომ რუსეთის ჯარი ასე სწრაფად ვერ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, თუმცა უკვე მიმდინარეობს პრაქტიკული მუშაობა რუსეთის სამშვიდობო ჯარის გასვლის შემთხვევაში მისი სხვა სამშვიდობო ძალით ჩანაცვლებისათვის.

საკოორდინაციო საბჭომ 300 ათასი დევნილის სახელით მიმართა დსთ-ის წევრი ქვეყნების მეთაურებს. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ არ უნდა დაუშვან რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის მექანიკური გაგრძელება: „კატეგორიულად მოვითხოვთ რუსეთის ყველა ფორმირების გაყვანას თავის ისტორიულ ტერიტორიაზე, ჩვენი მოთხოვნების იგნორირების შემთხვევაში ვიტოვებთ უფლებას, თავად გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი გმირი ჩეჩენი ხალხის მსგავსად“, - ნათქვამია საკოორდინაციო საბჭოს მიმართვაში. (პრაიმ-ნიუსი)

# საქართველოს პრეზიდენტი კიშინიოვს მიემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე 23 ოქტომბერს გამემგზავრება. ვიზიტი, რომლის დასაწყისიც დაგეგმილი იყო 22 ოქტომბრის დღის მეორე ნახევრისთვის, გადაიდო, რადგან უმაღლესი დონის შეხვედრის ცენტრალური ნაწილი 23 ოქტომბერს შედგება, თანაც, პრეზიდენტი გაციებულია და თავს ოდნავ შეუძლოდ გრძნობს, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს პრეზიდენტის პრეს-სამსახურში.

აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მსვლელობის საკითხი შეტანილია უმაღლესი ორგანოების მუშაობის დღის წესრიგში კიშინიოვში 22-23 ოქტომბრისთვის დანიშნულ დსთ-ის სამიტზე, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში.

ოფიციალური თბილისი უკმაყოფილებას გამოთქვამს დსთ-ის მარტის სამიტის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, რომელთა თანახმადაც უნდა გაფართოებულიყო აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტროლის ზონა და მოეცვა მთლიანად გალის რაიონი. ამასთან დაკავშირებით, როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ, საქართველო არ დააყენებს საკითხს რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს საერთაშორისო სამართლის საკითხებში, ლევან ალექსიძეს მიაჩნია, რომ რუსეთს შეუძლია გარკვეული ვადა მოითხოვოს დსთ-ის მარტის სამიტის გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

კიშინიოვში დაგეგმილია ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა და საგარეო საქმეთა მინისტრის, ირაკლი მენაღარიშვილის გამოსვლა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე.

მოლდოვეთის დედაქალაქში განსაკუთრებული ღონისძიებები ტარდება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამიტის ნორმალური მუშაობა, რომელიც, დამკვირვებელთა აზრით, ბევრს განსაზღვრავს დსთ-ის განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით. (პრაიმ-ნიუსი)

## საზღვარგარეთ

### ჩაბაევი თანამდებობიდან გადადგა

თანამდებობიდან გადადგა ჩეჩნეთის ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ლიომა ჩაბაევი. პრეზიდენტ ასლან მასხადოვს ჩაბაევის გადადგომის განცხადებაზე ჯერჯერობით ხელი არ მოუწერია.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს უკვე პირველი გადადგომა არ არის მასხადოვის ჯგუფში. მისი რამდენიმე უახლოესი თანამებრძოლი უკვე გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. მათ შორის ყველაზე ცნობილია შამილ ბასაევი, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში გადადგა. შამილ ბასაევი მთავრობაში სამრეწველო ბლოკს კურირებდა. (გეა)

### ჩრდილოეთ ოსეთში კვლავ ისვრიან

გუშინ ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ ნოგირში მომხდარი შეიარაღებული შეტაკების შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა და ორი დაშავდა. ამ სოფელში ძირითადად ე.წ. „სამხრეთ ოსეთიდან“ ჩასული მოსახლეობა ცხოვრობს.

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, ინციდენტი დილის 4 საათზე მოხდა. სროლას სხვადასხვა სახის იარაღიდან აწარმოებდნენ და შეტაკებამ 10 წუთს გასტანა. როგორც ვარაუდობენ, შეტაკება ოჯახურმა გაუგებრობამ გამოიწვია.

გასულ სამშაბათს პრიგოროდნის რაიონში, დასახლებულ პუნქტ სუნჟასთან ნაღმზე აფეთქდა ადგილობრივი მეურნეობის ტრაქტორი, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა და ერთიც დაიჭრა. (გეა)

### დიდი ავტოავარია ბრაზილიაში

გუშინ ბრაზილიაში სატვირთო ავტომობილისა და სამი ავტობუსის შეჯახების შედეგად 96 ადამიანი დაშავდა. ავარია მოხდა ხიდზე, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს მის მეზობელ ქალაქ ნიტერსთან აერთებს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მონაცემებით, ავარიის მიზეზი გახდა ძლიერი წვიმა და ის, რომ მძღოლებმა არ დაიცვეს საგზაო მოძრაობის წესები. გუანაბარას ყურეზე მდებარე 13 კილომეტრი სიგრძის ხიდი 1975 წელს აშენდა და მას შემდეგ სახელი გაითქვა იმით, რომ ამ ხიდზე უამრავი ავტოავარია მოხდა. (გეა)

### ნიაზოვი კიშინიოვში ვერ გაემგზავრება

თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი კიშინიოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა სამიტზე გამგზავრებას ვერ შეძლებს ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო.

მოლდავეთის დედაქალაქში თურქმენეთის ხელისუფლებას ორი ადამიანი წარმოადგენს. ესენი არიან თურქმენეთის მეჯლისის თავმჯდომარე სახად მურადოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის შიხმურადოვი.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტ ნიაზოვს ახლახანს გერმანიაში გულის ოპერაცია ჩაუტარეს და ამჟამად იგი სარეაბილიტაციო პერიოდში იმყოფება. (გეა)

# „ვინაც კუჭს პატივს არა სცემს, იგი თავისა მტერია“

## „თბილისობის“ წინა ღამეს

### მეძავსა გაჰყოლიხარ



გავხდებოდი პარლამენტის წევრი? განა მე არ შემომთავაზეს პარტიების ლიდერებმა, გაემხდარიყავი მათი პარტიის წევრი და მათი სიით მოეკალათებულიყავი იქ. იმიტომ არ გავაკეთე ესა, რომ ნამუსი მაქვს, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, თუ პარლამენტარი ხარ, ბიზნესს თავი უნდა ანებო. ჩვენს პარლამენტარებს კი საკუთარი ფირმები აქვთ გახსნილი, წილში უდგანან საბაჟოებს თუ დიდ საწარმოებს, ქვეყნისათვის შემოტანილი კრედიტები თუ ჰუმანიტარული დახმარებებიც ხომ მათს ჯიბეებში ჩადის.

გიკვირთ ამებს რომ ვამბობ? მე ხომ ძველი ლუარსაბი აღარა ვარ, გამოვიღვიძე, ტახტზე მძინარე ლუარსაბს კი არა, მკვდარს გამოაღვიძებს ის ცოდვა-ბრალი, რაც დღეს საქართველოში ტრიალებს. გინახავთ, როგორ ცხოვრობენ „ქვეყნისათვის გულდამწვარი ჭირისუფალნი“? გაგივლიათ საღამოს საათებში დღედაღამ გაბრდღვიალებულ პეროვსკაიას ქუჩაზე? რა კატეგორიის ხალხი ღრეობს ღამის ბარებსა და რესტორნებში, სწორედ ისინი, ვისზეც ხალხი იმედებს ამყარებს, ვინაც ვითომცდა ხალხზე ზრუნვით არიან დღედაღამ დაკავებულნი.

ეს ბატონები, ხელში რაღაც ეშმაკური ტელეფონები რომ უჭირავთ, პარლამენტში მხოლოდ იმისთვის სხედან, რომ საკუთარი საქმეები აგვარონ. აბა, ნახეთ, როგორი ხელჩართული ბრძოლა აქვთ გაჩაღებული, როცა რამე კანონპროექტის მიღება მათ ინტერესებს არ მიესადაგება. გახსოვთ, როგორ შუბლით გაიტანეს კანონი იარაღის ტარების შესახებ. საქვეყნო და სახალხო საქმეების განხილვისას კი გაზეთების კითხვით კლავენ დროს, აი, ისე, მე და დარეჯანი მოწყენილობისაგან ბუზებს რომ ვითვლიდით ჭერში.

სახელმწიფო კანცელარიასა თუ სამინისტრო-დეპარტამენტებში ერთ ადგილას ათი კაცია დასაქმებული. რა გადაწყვეტილება აღარ მიიღო პრეზიდენტმა შტატების შემცირების შესახებ, გამოდის რამე? დაჰქრიან სახელმწიფო მანქანებით მათი ოჯახის წევრები ბაზრობებსა თუ სასწავლებლებში, საცურაო აუზებზე, თუ უცხო ენის მასწავლებლებთან. იცით, რამდენ ბენზინსა და თანხებს ხარჯავენ მათი მძღოლები? გინახავთ რომელიმე მათგანის შვილი ჯარში წასულიყოს? რამდენი ულირსი განაგებს ზემოდან ღირსეულთა ბედსა? ვინ აწესებს რაღაც ეშმაკურ ტენდერებსა, როგორ გაძარცვონ და გაანიავონ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები. დასავლეთ საქართველოს ტყეები ხომ გააჩანაგეს, ახლა ქსნის ხეობის უძვირფასესი ასწლოვანი ხეების მორებით დატვირთული თურქული მრავალტონიანი მანქანების ქარავნები მიჰქრიან ჩვენს ტრასებზე. ვის ჯიბეებში მიდის თანხები, რას ხმარდება იგი, განა რომელიმე გამგებელი ან საბაჟოს თანამშრომელი დასჯილა ამის გამო?

არა, ბატონებო, ასეთი პარლამენტისა და მთავრობის წევრობისაგან ღმერთმა დამიფაროს.

მე კი გამოვიღვიძე, შევხედე ქვეყანასა და, საუბედუროდ, ბევრი რამ სიავე დავინახე. გული მეთუთქება, მაგრამ რა ვქნა, რა მოვიმოქმედო. გამოღვიძებულიც მაინც ლუარსაბი ვარ, რადგან ყოველი ქართველი კაცი ან ლუარსაბია და ან კვაჭი კვაჭანტირაძე. ლუარსაბები პასიურად ვუთმობთ ასპარეზს ახალი ტიპის კვაჭანტირაძეებს. ისღა დამრჩენია, ისევ ჩემი ჭამა-სმის აკადემიას მივხედო.

ჩვენი დღევანდელი შეკრების მონაწილეთა მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ გგონიათ, ჩემს წარდგინებას „საპატიო თბილისელის“ წოდებაზე ოპონენტები არ გამოუჩნდებიან? მთელი ცხოვრება ჩემს კრიტიკაში არიან, მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ: რაც უფრო მლანძღავენ, მით უფრო ვუყვარდები ხალხსა. როგორ შეუძლია ხალხს, შეიძულოს საკუთარი სახება.

რაც შეეხება დღევანდელ ჩვენს სტუმარ ჟურნალისტებს, შემთხვევით არც ერთი მათგანი არ მოგვიწვევია. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო კბილს გამკრავენ ხოლმე, გულბოროტად არ წერენ ჩემზე. მჯერა, რომ ისინი ამჯერადაც პატიოსნად გამოეხმაურებიან ამ ისტორიულ შეხვედრას.

ათი წუთი გრძელდებოდა დასკვნითი სამადლობელი სიტყვის ოვაციები. მიხომ შეკრება დახურულად გამოაცხადა და ყველას გასაგონად ხმამაღლა ორჯერ გაიმეორა, რომ „თბილისობის“ დამთავრების შემდეგ ეს შემადგენლობა კვლავ შეიკრიბება გამარჯვების აღსანიშნავ საგანგებო ვახშამზე.

**დიქტოფონზე ჩაიწერა ტარიელ ზოზრაშვილმა**

---

რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარს **ციალა ბრეგვაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

---


**ძვირფასო დიასახლისებო!**

შ.პ.ს. „ბიზნეს სერვის ცენტრი“ გთავაზობთ თეთრეულის ინდივიდუალურ და ხალიჩების რეცხვას.

მოგემსახურებით იაფად, სწრაფად, ხარისხიანად და თქვენი სურვილისამებრ სახლში მიტანითაც.

მომსახურეობა – სადღეღამისო

**მობრძანდით, დარჩებით კმაყოფილნი.**

მისამართი: საბურთალოს რ-ნი, ასათიანის ქ.№9 ტელ. 39-28-20


# აქციონერები თანადგომას თხოულობენ

გუშინ ქარვასლის პრეს-კლუბში ჟურნალისტებს შეხვდნენ თბილისის ყოფილი №4 სტამბის, ამჟამად სააქციო საზოგადოება „კვალი“-ს ყოფილი აქციონერები.

„კვალი“, სადაც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაცია იბეჭდება, სააქციო საზოგადოებად 1994 წელს ჩამოყალიბდა.

აქციონერთა სახელით შეხვედრაზე გამოსულმა, ამავე სტამბის საგეგმო განყოფილების ყოფილმა უფროსმა დოდო აბრალავამ ჟურნალისტებს ვრცლად მოუთხრო თავიანთი გულისტკივილის შესახებ. მისი ინფორმაციით, ს/ს-ის დირექტორმა გურამ მღებრიშვილმა შენობაში იჯარით შეიყვანა თავისი შვილის, დავით მღებრიშვილის ფირმა „კმვ“, რომელიც სტამბისათვის იღებდა დაკვეთებს. ამის შემდეგ, საგრძნობლად იკლო სტამბის შემოსავლებმა და გაიზარდა ფირმის შემოსავლები. დ.აბრალავას თქმით, გურამ მღებრიშვილმა ხელოვნურად გადაიყვანა თანამშრომლები გამომუშავებაზე, რათა აქციონერებს არ ჰქონოდათ აქციების გამოსყიდვის საშუალება და გამოუსყიდავი აქციები ხელმძღვანელების ხელში მოხვედრილიყო.

აქციონერებმა უნდობლობის მოტივით წერილით მიმართეს ს/ს-ის ხელმძღვანელობას, რასაც, დ.აბრალავას თქმით, თანამშრომლების რეპრესიები მოჰყვა. აქციონერები თვლიან, რომ მათ რიგებში დავით მღებრიშვილის შეყვანა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების დარღვევით მოხდა.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, აქციონერებმა, დოკუმენტური შემოწმების ჩატარების მოთხოვნით მიმართეს საბურთალოს რ-ნის პროკურატურას, რომლის დასკვნითაც, აღნიშნულ საზოგადოებაში დარღვევების ფაქტები არ არსებობს. ამის შემდეგ აქციონერებმა მიმართეს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებით კომისიას, რომელმაც საბურთალოს პროკურატურას საქმის ხელახალი შესწავლა დაავალა.

სამუშაოდან დათხოვნილ აქციონერთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წარმოება წლების მანძილზე ყოველთვის მომგებიანი იყო, მათ ს/ს-ის ჩამოყალიბებების დღიდან არ მიუღიათ კუთვნილი დივიდენდი.

აქციონერები თანადგომას სთხოვენ რესპუბლიკის პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილს, შს მინისტრს კახა თარგამაძეს და უშიშროების მინისტრს ჯემალ გახოკიძეს, რათა სიმართლის დადგენის მიზნით, ჩატარდეს დოკუმენტური შემოწმება. (იპრინდა)

## საჩუქარი

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ვალერი ჩხეიძის ამასწინანდელი ვიზიტისას თურქეთმა საქართველოს 2 „გრიფის“ ტიპის სამხედრო კატარღა გადასცა საჩუქრად. ამასთან თურქეთის სანაპიროს დაცვის წარმომადგენლები მზად იყვნენ, ქართული ეკიპაჟის იქ ყოფნის შემთხვევაში მაშინვე გამოეტანებინათ საჩუქარი ქართველი გენერლისათვის.

როგორც გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში აცნობეს, ქართული ეკიპაჟები მზად არიან და ისინი მხოლოდ თურქეთის მოწვევას ელოდებიან კატარღების ჩამოსაყვანად. (გეა)

---

ვახტანგ რაზმაძეს ვულოცავთ შვილიშვილის - თამარის დაბადებას. მეგობრები



# შაყირჰვორდი



**მწოლიარედ:** 1. „სტრიქონული“ უბედურება; 4. „ბაიას“ საყვარელი კომში; 5. რა მოისხა ტყემ? 8. კლარჯეთის მეგობარი; 9. ძილში მყოფი ფოთოლი, თოვლში საკატაო საშუალება; 10. ყველაზე დაბალი ციფრი; 11. კატასტროფა, სადაც „ავარა“ დაშავდა; 13. ბანძაში მცხოვრები გოიმი; 16. „ირას“ ძმა, რომელსაც ცოტა აკლია; 18. რიცხვი; 19. გადაცემების მაუწყებელი; 20. ზურიკელას ბებია; 22. ზღვის ბანდიტი; 24. ყველაზე გამოჩენილი „სარის შვილი“; 27. ვანა, რომელშიც კარგი „ჰავაა“; 30. ქალის სამოსი; 31. ძაღლის სახელი, რომელსაც მუნჯი პატრონი ჰყავდა; 32. გადაჭრილი თოფი; 33. ღორმა ფეხზე რომ დაისვა, თავზე აიცოცდა; 34. ჩექმაზე დამკვიდრებული ქვეყანა.

**მდგომიარედ:** 1. ბავშვის მოსატყუებელი ბუშტი (რუს.კავშ.); 2. რა აქვს საერთო ჟურნალს და ცეცხლს; 3. გაბანძებული სოფელი; 5. ფულის გადასარიცხი ფანდიანი დაწესებულება; 6. წყალზე მთრთოლვარე ფრინველი; 7. გულში გაყრილი სიყვარულის სიმბოლო; 12. გულის ყვავილი; 13. „ბარბაროსი“ თოჯინა; 14. „ნერგების მთესველი რასა“; 15. გამოჩენილი კოტორაშვილის სახელი; 17. შორს მხტომი მწერი; 21. ქმრებით განსაზღვრული სპორტის სახეობა; 22. კბილის გასახეხი საწერი საშუალება; 23. შაჰ-აბასის სამშობლო; 25. რემბოს მოყვარული გეომეტრიული ფიგურა; 26. ძაფგაყრილი „ნესვი“; 27. საარსებო წყარო, რომელიც არ იყიდება; 28. ბულგარეთის „ვანიანი“ ქალაქი; 29. წითელი ჯარი (რუს.კავშ.).

**ვალერი სოლოევი**

## წინა ნომრის პასუხები

**თარაზულად:** 1. ივანე; 4. თორნი; 8. სალარაძე; 9. რეპრესია; 10. ეგვიპტე; 12. დიონისე; 18. რეზიუმე; 12. ალიონი; 22. „ლალატი“; 23. მარში; 24. სევანი; 27. ბერდია; 28. იარანგი; 31. „ჯეირანი“; 32. კიზირია; 34. ბრიულოვი; 35. სიმენონი; 36. ბარდი; 37. იოკაი.

**შვეულად:** 2. ვასაძე; 3. ეპარქია; 4. თეირანი; 5. ნინიძე; 6. შედევრი; 7. ბროდვეი; 11. გაბიჩვაძე; 13. საზანდარი; 14. აზნაური; 15. შუქშინი; 16. ფარსი; 17. სირია; 19. ალება; 20. მიპაი; 25. პიპინია; 26. მინკუსი; 29. კრილოვი; 30. სიმეონი; 31. ჯარიმა; 33. აინინა.

---


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444